# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 30 ივნისი 2007 №148 (3071) ფასი 50 თეთრი

## ჩემპიონთა ლიგა

**ოლიმპი — ასტანა**
რუსთავი ასტანა

## უეფას თასი

**დინამო — ვადუცი**
თბილისი ვადუცი

**ბელხატუვი — ამერი**
ბელხატუვი თბილისი



გუშინდელ წილისყრას უეფას ადმინისტრაციული დირექტორი დევიდ ტეილორი გაუძღვა

# წილნაყარი საქართველო

## ევროსეზონი გუშინ დაიწყო, ოღონდ ჯერ კენჭით. ბურთით კი... დავიწყოთ ჩვენ და ვითამაშოთ!

გუშინ უეფას შტაბ-ბინაში გამართულმა ევროთასების წილისყრამ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო სამეულს საახალსეზონო მეტოქეები არგუნა.

ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ყაზახეთის 2006 წლის ჩემპიონს, დედაქალაქურ „ასტანას“ მასპინძლობს, ვერცხლისმედალოსანი თბილისის „დინამო“ შვეიცარიის მეორელიგელ „ვადუცს“, რომელიც ლიხტენშტაინის სამთავროს თასის მფლობელია, საქართველოს თასის მფლობელი „ამერი“ კი პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ ბელხატუვის გკს-ს ესტუმრება.

კენჭისყრამ თავდაპირველად „დინამოც“ სტუმრად გაამწესა, მაგრამ ვინაიდან „დინამო“ და „ამერი“ საუეფასთასო საშინაო მატჩებს ერთსადაიმავე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ატარებენ, უეფამ „ვადუც“ — „დინამოს“ წყვილი შეაბრუნა.

უეფას ახალ წევრ ყაზახეთის ფეხბურთთან დატოლებამ, გეხსომებათ, ერთი კვირის წინ „ზესტაფონი“ გააწბილა, მაგრამ თუ იმერელთა დღევანდელი მეტოქე ყაზახეთის მიმდინარე ჩემპიონატში მესამეა, „ოლიმპის“ მეტოქე „ასტანა“ წლეულს აშკარად ჭაკობს და მეათე ადგილზეა.

ერთი შეხედვით, სუსტი მეტოქე ერგო „დინამოს“, მაგრამ სამხრეთამერიკელი ლეგიონერებით გაძლიერებული „ვადუცი“ ბოლო სამი წელია, უეფას თასის პირველ ეტაპს ტრადიციულად გადის და, იმედია, ამ ტრადიციას „დინამო“ დაარღვევინებს.

ყველაზე ნაკლებად, ერთი შეხედვით, „ამერს“ გაუმართლა — „ბელხატუვი“ მთელი სეზონი ლიდერობდა პოლონურ პირველ ლიგას და მხოლოდ ბოლოსწინა ტურებში ზედიზედ ორი მარცხით დათმო ჩემპიონობა. თუმცა „ამერის“ შარშანდელი, სადებიუტო და უშიშარი ევროსეზონი რომ გვახსოვს, მათგან წლეულსაც არაფერი იქნება გასაკვირი.

# ნოდარ ახალკაცი უეფაში დასაქმდა

## მიშელ პლატინიმ ერთბაშად ორი ქართველი წაიყვანა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უეფას ნაკრები გუნდების შეჯიბრების კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარეა. ეს ამბავი გუშინ გაირკვა და გაირკვა ისიც, რომ ახალკაცის გარდა, უეფაში კიდევ ერთი ქართველი დასაქმდება — ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა მარკეტინგის საკონსულტაციო კომიტეტის წევრი გახდა. მოკლედ, პირველი შემთხვევაა, როცა ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანიზაციაში ორი ქართველი მიინვიეს. თანაც, ახალკაცი საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა...

ჩვენ ერთი გუნდი ვართ



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რას იზამს პროფლიგა?
## ჩიხურა დაიშალა, ბათუმი იშლება!


ბადრი კოთოლაშვილის ფოტო
პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს საფიქრალი მოუმრავლდა

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგას უსახსრობის გამო საჩხერის „ჩიხურა" გამოაკლდება.

გაჭირვებულ საჩხერელებს გუშინდლამდე ჰქონდათ იმედი, რომ სპონსორს იპოვიდნენ და „ჩიხურაც" უმაღლეს ლიგაში გააგრძელებდა თამაშს, მაგრამ ვისი იმედიც ჰქონდათ, გუშინ მისგან საბოლოო უარყოფითი პასუხი მიიღეს.

რა ეშველება გუნდს, ახლა საჩხერეში ამაზე ვერავინ ვერაფერს ამბობს. ყოველ შემთხვევაში, გუნდი უკვე დაშლილია და, თუ რამ სასწაული არ მოხდა, უმაღლეს ლიგაში თამაში გამორიცხულია.

ისიცაა, რომ „ჩიხურას" პირველი წრის შემდეგ ფეხბურთელების დავალიანება აქვს — 20 ათასი ლარი.

საინტერესოა, ამ ფულს ვინღა გაისტუმრებს?

სამწუხაროდ, „ჩიხურა" ერთადერთი არ არის, ვინც ამ დღეშია — ბოლო ცნობებით, ვერც „ბათუმს" უდგას კარგი დღეები და ვნახოთ, რა როგორ მოხდება...

საქმე იქით მიდის, რომ უმაღლეს ლიგაში ალბათ ქვედალიგელი „ცხინვალი" ითამაშებს, რომელსაც უკვე დიდი ხანია, ეს სურს...

**ნუკრი ლოლაძე**

# ვიტ ჯორჯიამ პირველიც გაყო


ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ორი კვირაა, თბილისის „ვიტ ჯორჯია" ახალი სეზონისთვის ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა ნესტორ მუმლაძემ თბილისური შეკრება ორ ნაწილად გაყო — გუშინდლამდე ძირითადი აქცენტი ფიზიკურ დატვირთვებზე იყო გადატანილი და გუნდი ერთჯერადი ვარჯიშებით შემოიფარგლებოდა. ხვალიდან კი ორჯერად ვარჯიშებზე გადავლენ.

„ვიტ ჯორჯია" ორ ტესტ-მატჩს გეგმავს — სავარაუდო თარიღები 7 და 14 ივლისია, მეტოქეები ჯერჯერობით არ არის ცნობილი.

16 ივლისს გუნდი სიმფეროპოლში გაემგზავრება, სადაც უკრაინულ გუნდებთან ოთხ-ხუთ ტესტ-მატჩს გამართავს. ივლისის ბოლოს კი საქართველოში დაბრუნდება.

ახალ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას" მიზანი საპრიზო ადგილებზე მოხვედრა იქნება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბორჯომში სასიკეთო ჰაერია
## ხაჩიძის მორიგი რეკონსტრუქცია: გავაკეთოთ გუნდი


ბადრი კოთოლაშვილის ფოტო

ახალი სეზონისთვის ვარჯიში დაიწყო „ბორჯომმა". თორელები კარგა ხანი ელოდნენ ფინანსური საკითხის მოგვარებას და, როგორც ჩანს, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდა.

„გვითხრეს, რომ ამ მხრივ პრობლემა არ იქნება. ფაქტია, რამე სერიოზულ თანხას არ ველოდებით, მაგრამ ნორმალურ დაფინანსებას შეგვპირდნენ" — გვითხრა გუშინ ბორჯომელთა თავკაცმა ვლადიმერ ხაჩიძემ.

როგორც ჩანს, „ბორჯომი" წლეულს უფრო სუსტი იქნება, ვიდრე გასულ სეზონში, თუმც ვლადიმერ ხაჩიძეს ბრძოლისუნარიანი გუნდის გაკეთება რომ შეუძლია, არაერთხელ დაუმტკიცებია თუნდაც იმავ „ბორჯომში".

შარშანდელი შემადგენლობიდან თითქმის ყველა ჩასული ფეხბურთელი წავიდა და მწვრთნელიც უფრო ადგილობრივებზე აკეთებს აქცენტს.

„ვარჯიში აქაური ფეხბურთელებით დავიწყეთ, ჩამოსული მხოლოდ ოთხია — მათგან სამი შარშანაც თამაშობდა „ბორჯომში": ბექა შეყრილაძე, გივი ქარქუზაშვილი და თემურ ლონლაძე, ერთადერთი ახალი თენგიზ კობიაშვილია, რომელიც „ვიტ ჯორჯიადან" მოვიდა. კიდევ გვინდა რამდენიმე ფეხბურთელის დამატება, რათა ბრძოლისუნარიანი გუნდი შევკრათ და საქმე გასავარდნად არ გაგვიხდეს" — დასძინა ხაჩიძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# გიორგი ონიანი: კარლ ცაისთან სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ

რუსთავის „ოლიმპისა" და თბილისის „მერანის" გუშინწინდელი ამხანაგური მატჩისას რუსთაველი გუნდის ყოფილი წევრი გიორგი ონიანი ტრიბუნაზე შევნიშნეთ და მასთან გასაუბრების შანსი ხელიდან არ გავუშვით, მით უმეტეს, რომ დღე-დღეზე გერმანიაში მიდის, რათა იენის „კარლ ცაისთან" კონტრაქტი გააფორმოს...

— გერმანიაში ალბათ 30 ივნისს წავალ. თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მე და გიორგი სეთურიძე სამწლიან კონტრაქტს მოვაწერთ ხელს. ჯერჯერობით მარტო მივდივარ, სეთურიძე კი რამდენიმე დღეში მიიღებს ვიზას და ჩამოვა.

— წარმატებული სეზონი გქონდა — რუსთავის „ოლიმპში" ჩემპიონობა მოიპოვე, ჟურნალისტებმა ჩემპიონატის საუკეთესო მცველად გაღიარეს, კლაუს ტოპმიოლერმა კი ნაკრებში გიხმო...

— მართლაც კარგი სეზონი მქონდა. „ოლიმპი" ძალიან მეგობრული გუნდია და რომ არა ყველას გვერდში დგომა, ამის მიღწევა გამიჭირდებოდა. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა ჟურნალისტს, ვინც ჩემს თამაშებს თვალყური ადევნა და შრომა დამიფასა. ეს წარმატება უფრო დიდ სტიმულს მაძლევს, რათა არ გავჩერდე და ბევრს მივაღწიო.

— ეროვნულ ნაკრებში გამოძახებაზე რას იტყვი?

— ძალიან გამიხარდა, როცა კლაუს ტოპმიოლერმა მიხმო. მართალია, ლიტვასა და საფრანგეთში თამაშმა არ მომიწია, მაგრამ იმედი მაქვს, მომავალში ვითამაშებ. მით უმეტეს, ტოპმიოლერმა ჟურნალისტებს უთხრა, მინდა, ონიანი ნაკრებს შეეჩვიოსო.

— ამ თამაშებში ჩვენმა ნაკრებმა მეტად უსუსური შთაბეჭდილება დატოვა...

— ლიტვაში არ უნდა წაგვეგო, მაგრამ ალბათ მეტი მობილიზება იყო საჭირო. საფრანგეთის ნაკრებზე კი ჩემი აზრი ასეთია — ისინი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესონი არიან.

— ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მცველად ვის მიიჩნევ?

— დავით ჭიჭვეიშვილმა და მიხეილ მახვილაძემ ჩემზე არანაკლებად ითამაშეს. მე საუკეთესოდ ალბათ იმიტომ მაღიარეს, რომ ახალგაზრდა ვარ და სტიმული მომცეს. რაც შეეხება გიორგი სეთურიძეს, მან პირველი წრე კი ითამაშა მარჯვენა მცველად, მაგრამ მეორე წრეში ნახევარმცველი უფრო იყო.

— რამ განაპირობა „ოლიმპის" ჩემპიონობა?

— პირველ რიგში, ძალიან მეგობრული გუნდი ვიყავით და ამ ერთსულოვნებამ მიგვიყვანა ტრიუმფამდე, თორემ არავისზე უკეთესი პირობები არ გვქონია.

— ეროვნულ ჩემპიონატში თუ არის ისეთი თავდამსხმელი, ვისთან თამაშიც გიჭირდა?

— ვერ ვიტყვი, რომ ვინმესთან გამიჭირდა. ერთი ვიცი: თუ ყოველთვის მობილიზებული არ იქნები, ნებისმიერი თავდამსხმელი დაგჩაგრავს.

**ნუკრი ლოლაძე**

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XI ტური
ლაჰტი 0:2 ვიიკინგიტი
ტურკუ 1:3 ტამპერე

### ბრაზილია
სერია A. VIII ტური
ფიგეირენსე 0:0 სან პაულუ
სპორტ რესიფე 4:1 ნაუტიკო

### აშშ
MLS. გადადებული მატჩი
ვაშინგტონი 4:1 კოლორადო

### ირლანდია
პრემიერლიგა
XVI ტური
სენტ პატრიკსი 2:1 დერი
შემროკი 0:0 ბოჰემიანსი
კორკი — დუბლინი გადაიდო

### ამხანაგური მატჩები
ჩრდ. კორეა 2:2 ომანი
სამხ. კორეა 3:0 ერაყი
პაშინგი 3:0 ლეოგენი
აარაუ 2:0 დელემონი
ალტახი 2:1 ბრონდბიუ

# ინტერტოტოს თასი
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 30 ივნისი. 19 საათი. მიხეილ მესხი

## ზესტაფონი — ტობოლი

პირველი მატჩი 0:3



# ტობოლი ობლად სულაც არ ჩამოსულა

**დღეს** მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ინტერტოტოს თასის გათამაშების პირველი ეტაპის საპასუხო შეხვედრაა — „ზესტაფონი“ ყაზახურ „ტობოლს“ უმასპინძლებს და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად უძნელესი ამოცანის გადაჭრა მოუწევს.

ერთი კვირის წინ „ზესტაფონი“ წვალებით ეწვია კუშტანაის და 0:3 წააგო. მაშინ ტობოლელთაგან გოლები ნურბოლ ჟუმასკალიევმა, რუსლან ბალტიევმა და ულუგბეკ ბაკაევმა გაიტანეს. თბილისში „ტობოლს“ მესამე გოლის ავტორი ბაკაევი დააკლდება, რომელიც უზბეკეთის ნაკრებშია გამოძახებული და ყაზახებს ვერ დაეხმარება. დანარჩენები მწყობრში არიან და თბილისს გუშინ საღამოს ეწვიენენ.

დიდი ანგარიშით მოგების მიუხედავად, ყაზახები მაინც ფრთხილობენ და თავს დამშვიდების უფლებას არ აძლევენ. ყაზახები განსაკუთრებულ აქცენტს ქართველების ტექნიკურობაზე ამახვილებენ და არც ბრაზილიელ ლეგიონერებს ივიწყებენ.

„ზესტაფონს“ კი საფრთხილოდ საქმე არ აქვს — იმერლების ამოცანა, სულ მცირე, სამი გოლის გატანაა, ისე, რომ საკუთარ კარში არ მიიღონ.

მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც იმედოვნებენ, რომ ამ ამოცანის შესრულება სულაც არაა შეუძლებელი — თუ სწრაფ გოლს გაიტანენ და მეტოქეს საწყისი წუთებიდანვე მოუჭერენ მარწუხებს.

ზესტაფონელები ჯანზე არიან, მცირე ტრავმა კი აწუხებს გიორგი ჭელიძეს, თუმც დღეს ალბათ ითამაშებს. გამოჯანმრთელდა შალვა ღონღაძეც, რომელსაც დღეს, სავარაუდოდ, დაცვის ცენტრში ვიხილავთ.

სამი გოლის გატანა კი მართებთ იმერლებს, მაგრამ თემურ მახარაძე ავანტიურაზე ალბათ მაინც არ წავა. თუ საქართველოს თასის ფინალი ნახეთ, გეხსომებათ, რომ ასეთ ვითარებაში „ზესტაფონს“ დაცვაში უამრავი პრობლემა ექმნება.

მოკლედ, კარგი თამაში უნდა გამოვიდეს და იმედია, ქართველი გულშემატკივარიც მრავლად მივა სტადიონზე, მით უმეტეს, „ტობოლს“ ყაზახეთიდან ფანები საკმაოდ ჩამოჰყვნენ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ახალკაცი და უგულავა უეფაში!




ბადრი [illegible] ფოტო

**გუშინ** ნიონში უეფას აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა გაიმართა, სადაც რამდენიმე კომიტეტის ხელმძღვანელი აირჩიეს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ნაკრებების საშეჯიბრო კომიტეტის ვიცე-თავმჯდომარედ აირჩიეს, ხოლო სფფ-ის გენერალური მდივანი უჩა უგულავა უეფას მარკეტინგის საკონსულტაციო კომიტეტის წევრი გახდა.

უეფას ნაკრებების საშეჯიბრო კომიტეტი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების საერთაშორისო ტურნირებს კურირებს. ამ კომიტეტს ევალება ჩემპიონატების ორგანიზება.

კომიტეტის თავმჯდომარედ პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ჟილბერტო მადაილი აირჩიეს. მისი თანათავმჯდომარე, ასევე უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ფრანკო კარაროა.

ნოდარ ახალკაცის გარდა, ვიცე-თავმჯდომარეები არიან: შვედეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლარს-აკელა გარელი და გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი თეო ცვანცინგერი.

მარკეტინგის საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე ზემოთ ხსენებული ფრანკო კარაროა, რომლის თანათავმჯდომარეა გერმანელი გერჰარდ მაიერ-ფოლფელდერი, უგულავა კი ამ კომიტეტის წევრია.

აღსანიშნავია, რომ სფფ-ის ორი ხელმძღვანელი უეფას კომიტეტებში პირველადაა წარდგენილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ევროთასების წილისყრა

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი (საქართველო) — ასტანა (ყაზახეთი)
ხაზარი (აზერბაიჯანი) — დინამო (ხორვატია)
აპოელი (კვიპროსი) — ბატე (ბელარუსი)
შერიფი (მოლდოვა) — რეინჯერი (ანდორა)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) — HB ტორსჰავნი (ფარერები)
ნიუ საინტსი (უელსი) — ვენტსპილსი (ლატვია)
პობედა (მაკედონია) — ლევადია (ესტონეთი)
ზეტა (ჩერნიგორია) — კაუნასი (ლიტვა)
ტამპერე (ფინეთი) — მურატა (სან მარინო)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — ჟილინა (სლოვაკეთი)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) — ელფსბორგი (შვედეთი)
დერი სიტი (ირლანდია) — პიუნიკი (სომხეთი)
მარშაქსლოკი (მალტა) — სარაევო (ბოსნია)
დომჟალე (სლოვენია) — ტირანა (ალბანეთი)

*I მატჩები გაიმართება 17-18 ივლისს, საპასუხოები — 24-25 ივლისს*

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

ოლიმპი ან ასტანა — რუსენბორგი (ნორვეგია)
დერი სიტი ან პიუნიკი — შახტარი (უკრაინა)
ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — პობედა ან ლევადია
რეინჯერსი (შოტლანდია) — ზეტა ან კაუნასი
დებრეცენი (უნგრეთი) — ლინფილდი ან ელფსბორგი
ზაგლებე (პოლონეთი) — სტიაუა (რუმინეთი)
გენკი (ბელგია) — მარშაქსლოკი ან სარაევო
ნიუ საინტსი ან ვენტსპილსი — ზალცბურგი (ავსტრია)
ჰაფნარფიორდური ან HB — აპოელი ან ბატე
კოპენჰაგენი (დანია) — ბეითარი (ისრაელი)
დუდელანჟი ან ჟილინა — სლავია (ჩეხეთი)
ტამპერე ან მურატა — ლევსკი (ბულგარეთი)
დომჟალე ან ტირანა — ხაზარი ან დინამო
ბეშიქთაში (თურქეთი) — შერიფი ან რეინჯერი

*I მატჩები გაიმართება 31 ივლისს-1 აგვისტოს, საპასუხოები — 7-8 აგვისტოს*

## უეფას თასი 2007-2008

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

გკს ბელხატუვი (პოლონეთი) — ამერი (საქართველო)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) — დინამო (საქართველო)
ჰაიდუკი (ხორვატია) — ბუდუჩნოსტი (ჩერნიგორია)
რუდარი (ჩერნიგორია) — ომონია (კვიპროსი)
სლავენი (ხორვატია) — ტეუტა (ალბანეთი)
ბეჟანიჯა (სერბეთი) — ბესა (ალბანეთი)
სლიმა (მალტა) — ლიტექსი (ბულგარეთი)
ვოივოდინა (სერბეთი) — ჰიბერნიანსი (მალტა)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) — სანტა კოლომა (ანდორა)
შიროკი ბრიაგი (ბოსნია) — კოპერი (სლოვენია)
ვარდარი (მაკედონია) — ანართოსისი (კვიპროსი)
ნოვა გორიცა (სლოვენია) — რაბოტნიჩკი (მაკედონია)
პარტიზანი (სერბეთი) — ზრინსკი (ბოსნია)
მორავცე (სლოვაკეთი) — ალმატი (ყაზახეთი)
მტკ (უნგრეთი) — მიკა (სომხეთი)
ბროცლინი (პოლონეთი) — არაზი (აზერბაიჯანი)
არტმედია (სლოვაკეთი) — ზიმბრუ (მოლდოვა)
იანგ ბოისი (შვეიცარია) — ბანანცი (სომხეთი)
ნისტრუ (მოლდოვა) — ჰონვედი (უნგრეთი)
რიდი (ავსტრია) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
აკტობე (ყაზახეთი) — მატერსბურგი (ავსტრია)
B-36 ტორსჰავნი (ფარერები) — ეკრანასი (ლიტვა)
დროჰედა (ირლანდია) — ლიბერტასი (სან მარინო)
ჰაკა (ფინეთი) — რილი (უელსი)
კარმარტენი (უელსი) — ბრანი (ნორვეგია)
ფლორა (ესტონეთი) — ვოლერენგა (ნორვეგია)
EB სტრეიმური (ფარერები) — მიუპა (ფინეთი)
დანგანონი (ჩრდ. ირლანდია) — სუდუვა (ლიტვა)
კერინჟი (ლუქსემბურგი) — ლილესტრიომი (ნორვეგია)
მეტალურგსი (ლატვია) — დინამო (ბრესტი, ბელარუსი)
ჰელსინგბორგი (შვედეთი) — ტრანსი (ესტონეთი)
მიდტიულანდი (დანია) — კეფლავიკი (ისლანდია)
რეიკიავიკი (ისლანდია) — ჰეკენი (შვედეთი)
სენტ პატრიკსი (ირლანდია) — ოდენსე (დანია)
ჰიკ (ფინეთი) — ეტცელა (ლუქსემბურგი)
გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — აიკ (შვედეთი)
სკონტო (ლატვია) — დინამო (მინსკი, ბელარუსი)

*I მატჩები გაიმართება 19 ივლისს, საპასუხოები — 2 აგვისტოს*

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. ოლიმპის მეტოქე



**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 29. სერგეი ბოიჩენკო | 27.09.1977 |
| 21. ვიტალი დემური | 18.11.1987 |
| 31. ევგენი კუზნეცოვი | 29.11.1986 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 22. სერგეი ახანოვი | 27.07.1989 |
| 4. მაქსიმ ჟალმაგამბეტოვი | 11.07.1983 |
| 20. მაქსიმ კაზნაჩეევი | 30.01.1986 |
| 5. ემილ კენჟისარიევი | 26.03.1987 |
| 2. აიდარ კუმისბეკოვი | 09.02.1979 |
| 3. ალექსანდრ კუჩმა | 09.12.1980 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 11. კუანიშ აბდუალიევი | 04.11.1988 |
| 16. იგორ აკსენოვი | 11.08.1977 |
| 8. პირალი ალიევი | 13.01.1984 |
| 17. ბეკეტ მაიმბეტოვი | 01.09.1986 |
| 14. ჟამბილ კუკეევი | 20.09.1988 |
| 24. ევგენი სიომინი | 21.06.1987 |
| 7. ედუარდ სერგიენკო | 18.02.1983 |
| 19. მიხაილ სუხოვი | 04.06.1984 |
| 15. ალექსანდრ სუჩკოვი | 29.02.1980 |
| 6. ანტონ ჩიჩულინი | 27.10.1984 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 18. მაქსიმ აზოვსკი | 04.06.1986 |
| 10. კირილ კოჩკაევი | 10.12.1984 |
| 9. მურატ სუიუმაგამბეტოვი | 14.10.1983 |
| 23. ტუგან ხამხოევი | 04.03.1987 |

# ფრთხილად, ეს ყაზახეთია!

## ასტანა

ასტანა, ყაზახეთი

დაარსდა 1964 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ალექსანდრ კონოჩკინი
მთავარი მწვრთნელი: ივან აზოვსკი
სტადიონი: „ხაჯიმუკან მუნაიტპასოვი" (ტევადობა 12 350)
ყაზახეთის ჩემპიონი (3): 2000, 2001, 2006
ყაზახეთის თასის მფლობელი (3): 2001, 2002, 2005
ჩემპიონთა ლიგაში: 2 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 1 წაგება, ბურთები 4:4
უეფას თასზე: 4 მატჩი, 1 მოგება, 0 ფრე, 3 წაგება, ბურთები 5:10





**სუპერლიგა 2007 (მიმდინარე)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აქტობე | 15 | 9 | 4 | 2 | 21:6 | 31 |
| შახტიორი | 14 | 8 | 5 | 1 | 25:8 | 29 |
| ტობოლი | 14 | 7 | 5 | 2 | 18:8 | 26 |
| ირტიში | 13 | 8 | 2 | 3 | 14:9 | 26 |
| ჟეტისუ | 13 | 7 | 3 | 3 | 16:14 | 24 |
| კაისარი | 13 | 7 | 2 | 4 | 13:8 | 23 |
| ალმატი | 15 | 6 | 4 | 5 | 14:12 | 22 |
| ორდაბასი | 13 | 4 | 6 | 3 | 12:10 | 18 |
| ასტანა | 15 | 4 | 5 | 6 | 9:12 | 17 |
| ვოსტოკი | 14 | 5 | 2 | 7 | 12:18 | 17 |
| ეკიბასტუზეცი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:14 | 16 |
| ოკჟეტპესი | 13 | 4 | 2 | 7 | 12:16 | 14 |
| იესილი | 14 | 2 | 7 | 5 | 10:14 | 13 |
| ატირაუ | 12 | 4 | 0 | 8 | 10:19 | 12 |
| ტარაზი | 14 | 1 | 3 | 10 | 7:24 | 6 |
| კაირატი | 12 | 1 | 2 | 9 | 5:19 | 5 |





ასტანელთა გამჩემპიონებელი მწვრთნელი არნო პაიპერსი გუნდს დაშორდა

**მოდი და,** ნუ მოვთხოვთ მკითხველს, ირონიით არ შემოგვხედოს, როცა ვიტყვით, რომ რუსთავის „ოლიმპს" კენჭისყრაში გაუმართლა — რამდენიმე დღის წინ ყაზახურმა „ტობოლმა" ხომ ბდღვირი ადინა „ზესტაფონს"... თანაც, „ტობოლი" შარშანდელი ჩემპიონატის მესამეადგილოსანია, „ასტანა" კი ჩემპიონი.

...მაგრამ ეს იყო შარშან, როცა „ასტანამ" ოთხქულიანი უპირატესობით მოიგო ყაზახური ოქრო. გეცოდინებათ, ყაზახეთში ჩემპიონატი გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით ტარდება, ახლა იქ გაგანია თამაშებია და 15 ტურის შემდეგ ეს თქვენი „ასტანა" მეათე ადგილზეა: 15 მატჩიდან „ოლიმპის" მომავალმა მეტოქემ ოდენ 4 მოიგო და ბურთების შეფარდება 9:12-ზე აქვს.

ახლა ცოტა ისტორიას გადავხედოთ: „ასტანა" 1964 წელს კი დაარსდა, მაგრამ კლუბს სახელი ბევრჯერ შეეცვალა — 1964-74 წლებში „დინამო" ერქვა, 1975-93 და 1996-97 წლებში — „ცილენიკი", 1994-95 წლებში „ცესნა", 1999-2005 წლებში „ჟენისი". „ასტანა" ადრეც ერქვა კლუბს, 1997-98-ში.

1991 წლამდე ეს ყაზახური კლუბი უმეტესად საბჭოეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობდა და ერთხელ ზონალური ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. მთლიანობაში, საკუთარი ქვეყნის მასშტაბითაც კი, ქალაქი ასტანა საფეხბურთო ტრადიციებით არასოდეს გამოირჩეოდა.

1992 წლიდან „ასტანა" მუდმივად თამაშობს ყაზახურ სუპერლიგაში და სამჯერ გახდა ჩემპიონი, თუმც რაღაცნაირი, არასტაბილური გუნდი ჩანს: საჩემპიონო სეზონს წაგებათა სერიას მიაყოლებდა ხოლმე და ასეა ახლაც.

„ასტანას" ორჯერ უთამაშია ევროტურნირებზე და ორივეჯერ გამოვარდა: 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მოლდოვურ „შერიფს" შინ 3:2 მოუგო, სტუმრად კი 1:2 დათმო, მომდევნო წელს კი უეფას თასის საკვალიფიკაციოზე ჩეხურ ჟიჟკოვის „ვიქტორიასთან" 1:3 და 0:3 დამარცხდა.

გუნდის ამჟამინდელ მწვრთნელ ივან აზოვსკის დიდ გამოცდილებას ვერავინ „დააბრალებს", რადგან აქამდეც ოდენ ყაზახურ კლუბებში უთავკაცია და არაფრისთვის მიუღწევია. შარშანდელ საჩემპიონო სეზონში კი „ასტანას" ჰოლანდიელი არნო პაიპერსი წვრთნიდა.

„ასტანას" ლეგიონერი არ ჰყავს, ხოლო ყაზახეთის ეროვნულ ნაკრებში თამაშით სამი ფეხბურთელი იწონებს თავს — მცველები: ჟალმაგამბეტოვი და კუჩმა და ნახევარმცველი ჩიჩულინი. ყველაზე გამოცდილი ჟალმაგამბეტოვი ამჟამად ტრავმირებულია და თანაც, როგორც ყაზახური პრესა წერს, კლუბის შეცვლას აპირებს. მთლიანობაში, „ასტანა" საკმაოდ ახალგაზრდული გუნდია.

ყაზახეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ივან აზოვსკის გუნდმა შინ 0:1 დათმო „ალმატისთან" და ასეთი ძირითადი თერთმეტეული ჰყავდა: ბოიჩენკო, კუმისბეკოვი, კუჩმა, ალიევი, კენჟისარიევი, ჩიჩულინი, აკსენოვი, აზოვსკი, კუკეევი, სუჩკოვი, სერგიენკო.

კიდევ ის შეიძლება ითქვას, რომ „ასტანას" თავის დროზე ცოტა ხანს წვრთნიდა ალექსანდრ ზავაროვი, 2000 წელს იქ თამაშობდა ერთ დროს რუსეთის ჩემპიონატში ცნობილი მეგოლე ვლადიმირ ნიდერგაუსი. შარშანდელი ყაზახური სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად კი იქაურთა ნაკრების მეკარე დავით ლორია დაასახელეს.

კიდევ რაში გაუმართლა „ოლიმპს"? რაში და, „ასტანას" სტადიონი ევროსტანდარტებს არ შეესაბამება და გუნდი კუშტანაის არენაზე უმასპინძლებს „ოლიმპს". თუმცა, კუშტანაი თავშივე ვახსენეთ და, როგორი „ხვავრიელია" ქართველებისთვის, წინა შაბათს გავიგეთ.

ასე რომ, „ოლიმპს" თუ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასვლა და ნორვეგიის ლამის მარადმწვანე ჩემპიონ „რუსენბორგთან" თამაში სურს, ფრთხილად უნდა იყოს...

**ილია ნანობაშვილი**

# ოლიმპი რუსთავის იმედით

*რუსთავის „ოლიმპის" მწვრთნელი ვარლამ კილასონია „ასტანას" ვარიანტით არც კმაყოფილია და არც უკმაყოფილო...*

— ეს ახლაა, ყაზახურ ფეხბურთში ფული რომ ჩაიდო და რუსი ლეგიონერები მიჰყავთ, თორემ ჩემი ფეხბურთელობისას პირიქით, ყველა ყაზახი სამშობლოდან გარბოდა. ადრე ისინი ქართულ გუნდებთან ახლოსაც ვერ მოდიოდნენ...

...პირველი მატჩი შინ რომ გვაქვს, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ვეცდებით, შინ დიდი ანგარიშით მოვიგოთ და ყაზახეთში ფორით ჩავიდეთ.

...იმედია, უეფა რუსთავის სტადიონზე თამაშის ნებას დაგვრთავს. რაც გასაკეთებელი იყო, გაკეთდა, წესით, პირველი საკვალიფიკაციო ეტაპზე აქ უნდა ვითამაშოთ, მეორეში კი ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფას თასი 2007–2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. დინამოს მეტოქე



### მეკარეები

| | |
|---|---|
| იან სომერი | 17.12.1988 |
| გაბრიელ ვუტრიხი | 28.08.1981 |

### მცველები

| | |
|---|---|
| დირენ აკდემირი | 04.02.1985 |
| დამირ ჯომბიჩი | 03.01.1985 |
| დანიელ ჰასლერი | 18.05.1974 |
| ხავიერ ლოპესი | 19.03.1980 |
| თომას რაინმანი | 09.04.1983 |
| მარკო რიცბერგერი | 27.12.1986 |
| ფლორიან შტურმი | 06.05.1982 |

### ნახევარმცველები

| | |
|---|---|
| გილერმო ალასტრა | 11.05.1980 |
| იოან ლანგლეტი | 25.12.1982 |
| მიშელ მაჯეტი | 19.03.1981 |
| მიშელ პოლვერინო | 26.09.1984 |
| ბრუნო სუტერი | 16.04.1977 |
| კრისტიან ვიჩორეკი | 09.12.1985 |
| მარიუს ცარნი | 18.04.1978 |

### თავდამსხმელები

| | |
|---|---|
| ბენჟამინ ფიშერი | 19.10.1980 |
| გასპარ დე სოუზა | 18.05.1981 |
| ტიმ გროსკლაუსი | 22.07.1987 |
| რაფაელ რორერი | 03.05.1985 |

## ვადუცი

ვადუცი, ლიხტენშტაინი

დაარსდა 1932 წელს

კლუბის პრეზიდენტი: ჰანს-პეტერ ნეგელე

მთავარი მწვრთნელი: ჰაინო ველერი

სტადიონი: „რაინპარკ შტადიონი" (ტევადობა 6 127)

ლიხტენშტაინის თასის მფლობელი (35): 1949, 52, 53, 54, 56, 57, 58, 59, 60, 61, 62, 66, 67, 68, 69, 70, 71, 74, 80, 85, 86, 88, 90, 92, 95, 96, 98, 99, 2000, 01, 02, 03, 04, 05, 06, 07

უეფას თასზე: 32 მატჩი, 7 მოგება, 5 ფრე, 20 წაგება, ბურთები 32:78



„რაინპარკ შტადიონი"

# გამარჯობა!

## ვადუცი: ჯუჯების მეფე

**საკლუბო** თუ სანაკრებო დონეზე ჩვენებს ლიხტენშტაინელებთან ჯერ არ უთამაშიათ და შუაევროპელებთან გაცნობის პატივი თბილისის „დინამოს" ერგო.

„ვადუცი" ლიხტენშტაინში ერთადერთი პროფესიული გუნდია და უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისელებს სწორედ ამ გუნდთან მოუწევთ საქმის დაჭერა.

რა გუნდია „დინამოს" მომავალი მეტოქე და რით შეუძლია „ვადუცს", იტრაბახოს?

მოდით, გავეცნოთ და ჯუჯა ქვეყნის ამ ყველაზე ძლიერ გუნდზე ეგებ გარკვეული წარმოდგენაც შეგვექმნას...

მაშ ასე, „ვადუცი", როგორც უკვე ვთქვით, თავის ქვეყანაში ერთადერთი პროფესიული კლუბია. 1932 წელს დაარსდა და 1933 წლის შემდეგ დღემდე შვეიცარიის ჩემპიონატში თამაშობს — რადგან ლიხტენშტაინში სხვა პროფკლუბი არ არის, „ვადუციც" ამად გამოდის შვეიცარიაში. თავის ქვეყანაში კი მხოლოდ თასზე თამაშობს და უეფას თასზეც სწორედ თასის მფლობელის სტატუსით მონაწილეობს. 1962 წლიდან „ვადუცმა" ქვეყნის თასი 35-ჯერ მოიპოვა. 1997 წლის შემდეგ „დინამოს" მეტოქემ ეს გათამაშება წლეულს ზედიზედ მე-10 მოიგო — „ვადუცმა" „რაგელი" 8:0 გაანადგურა და აგერ, „დინამოს" მეტოქეც გახდა.

„ვადუცი" საშინაო მატჩებს ვადუცის 6 127-ათასიან „რაინპარკ შტადიონზე" ატარებს, რომელიც ხანდახან თუ ივსება ხოლმე. შვეიცარიის სუპერლიგაში „ვადუცს" არსებობის მანძილზე სულ ორი სეზონი აქვს ჩატარებული, თუმცა ეს ადრე იყო, 70-იან წლებში, მას შემდეგ კი ლიხტენშტაინელთა ადგილი ჩელენჯლიგაში, უფრო გასაგებად, პირველ ლიგაშია.

წლეულს „ვადუცი" 18 გუნდს შორის მერვე დარჩა, რაც კლუბის უფროსობამ არ მოიწონა და მწვრთნელი შეცვალა — ჰაინც ჰერმანის ნაცვლად „ვადუცის" თავკაცად ჰაინო ველერი დაინიშნა.

სათასო წარმატებების გათვალისწინებით, „ვადუცი", ცხადია, უეფას თასის გათამაშების ხშირი სტუმარია, თუმცა ლიხტენშტაინელები ევროსარბიელზე რისი მაქნისებიც არიან, ალბათ, კარგად იცით. „დინამოს" მეტოქე უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპს იქით არასოდეს წასულა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ამბავიც, რომ „ვადუცი" მეორე ეტაპზე ბოლო სამი სეზონი სტაბილურად თამაშობს.

2004 წლის ზაფხულში უეფას თასზე „ვადუცმა" ირლანდიური „ლონგფორდთაუნი" დაამარცხა, შემდეგ ზაფხულს მოლდოვური „დაჩია", წინა გათამაშებაში კი უნგრეთის „უიპეშტი". ახლა „ვადუცის" მეტოქე ჩვენი „დინამოა" და იმედი გვაქვს, მათი ეს სერია თბილისელებთან შეხვედრის შემდეგ შეწყდება.

ევროტურნირებზე „ვადუცი" ყველაზე დიდი ანგარიშით 15 წლის წინ ოდესის „ჩერნომორეცთან" დამარცხდა — 1:12. „ვადუცის" მიერ პირველი დამარცხებული ევროპული მეტოქე კი რიგის „უნივერსიტეტი" იყო. ეს ამბავი 1996 წელს მოხდა. ლიხტენშტაინელებმა ლატვიელებს ორი მატჩის ჯამში 5:3 მოუგეს.

დღევანდელი „ვადუცის" შემადგენლობა ლეგიონერთა სიმრავლით გამოირჩევა. გუნდში სულ სამი ლიხტენშტაინელია და სამივე ქვეყნის ნაკრებშია. კაპიტანი, მცველი დანიელ ჰასლერი, ნახევარმცველი მარკო რიცბერგერი და ფორვარდი ბენჟამინ ფიშერი.

„ვადუცში" თამაშობს შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ბრუნო სუტერი და ასევე მაკედონიის ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელი არტიმ შაკირი. მწვრთნელ ჰაინო ველერის ხელქვეით არიან ბრაზილიელი, არგენტინელი, ესპანელი და ავსტრიელი ფეხბურთელებიც.

მოკლედ, ვნახოთ, როგორ იქნება „დინამო" — „ვადუცის" საქმეები.

მეტოქის შეუფასებლობა ჩვენებს შეიძლება ძვირად დაუჯდეთ. შვეიცარიის წინა ჩემპიონატს თუ არ ჩავთვლით, „ვადუცი" ჩელენჯლიგიდან სუპერლიგაში ასასვლელად იბრძვის ხოლმე, მაგრამ აქამდე პლეი ოფის ბარიერზე გადახტომა ვერ მოუხერხებია...

ბობა ინასარიძე



ჰაინო ველერი

**ჩელენჯლიგა 2006-2007**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 34 | 23 | 7 | 4 | 73:28 | 76 |
| ბელინცონა | 34 | 21 | 7 | 6 | 58:26 | 70 |
| კრიენსი | 34 | 20 | 7 | 7 | 65:36 | 67 |
| კიასო | 34 | 16 | 10 | 8 | 55:39 | 58 |
| კონკორდია | 34 | 17 | 6 | 11 | 59:49 | 57 |
| ვინტერთური | 34 | 17 | 4 | 13 | 60:47 | 55 |
| სერვეტი | 34 | 15 | 8 | 11 | 63:51 | 53 |
| ვილი | 34 | 12 | 10 | 12 | 56:50 | 46 |
| ვადუცი | 34 | 12 | 10 | 12 | 57:52 | 46 |
| შო დე ფონი | 34 | 13 | 7 | 14 | 51:47 | 46 |
| ივერდონი | 34 | 12 | 6 | 16 | 45:60 | 42 |
| ლუგანო | 34 | 11 | 8 | 15 | 42:46 | 41 |
| ლოზანა | 34 | 10 | 9 | 15 | 44:51 | 39 |
| ლოკარნო | 34 | 10 | 9 | 15 | 42:60 | 39 |
| დელემონი | 34 | 9 | 6 | 19 | 39:63 | 33 |
| ვოლენი | 34 | 7 | 10 | 17 | 39:64 | 31 |
| ბოლში | 34 | 7 | 9 | 18 | 30:63 | 30 |
| იუვენტუსი | 34 | 4 | 7 | 23 | 29:75 | 19 |

## უნდა გავიაროთ!



*თბილისის „დინამოს" თავკაცი დუშან უჰრინი:* ჩვენ ყველა სავარაუდო მეტოქეზე გვქონდა გარკვეული ინფორმაცია. ჩვენს მოწინააღმდეგეზე კი შემიძლია ის ვთქვა, რომ ფეხბურთი ამ ქვეყანაში პროგრესირებს — ეს იგრძნობა ლიხტენშტაინის ნაკრების ბოლო თამაშებში და თავად „ვადუციც" ბოლო წლებში სისტემატურად გადის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. შარშან ჯერ „უიპეშტი" დაამარცხა, შემდეგ კი შინ გაშვებული ბურთის გამო გავარდა „ბაზელთან". გუნდში მრავლად არიან ლეგიონერები, მაგრამ მიუხედავად ამისა, „დინამომ" ეს ბარიერი ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გადალახოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უეფას თასი 2007-2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. ამერის მეტოქე



**მეკარეები**

| | |
|---|---|
| 1. პიოტრ ლეხი | 18.06.1968 |
| 12. ლუკაშ საპელა | 21.09.1982 |
| 26. რაფაელ მიზალი | 10.04.1984 |

**მცველები**

| | |
|---|---|
| 3. რაფალ გროძიცკი | 28.10.1983 |
| 5. პაველ სტრაკი | 24.03.1983 |
| 21. მარიან კომოროვსკი | 17.04.1984 |
| 4. იაცეკ პოპეკი | 20.08.1978 |
| 33. პაველ მაგდონი | 13.11.1979 |
| 15. დარიუშ პეტრაშიაკი | 12.02.1980 |
| 16. მარტინ კოვალჩუკი | 09.04.1985 |
| 22. გჟეგოჟ ფონფარა | 08.06.1983 |
| 28. არტურ მარჩინიაკი | 18.08.1987 |
| 6. ედუარდ კეკოტი | 01.07.1974 |

**ნახევარმცველები**

| | |
|---|---|
| 18. ბარტოშ ჰინკი | 20.06.1977 |
| 23. ტომაშ ვრობელი | 10.07.1982 |
| 8. ტომაშ იარჟებოვსკი | 16.11.1978 |
| 30. ბარტლომეი ჩვალიბოგოვსკი | 07.08.1982 |
| 10. ლუკაშ გარგულა | 25.02.1982 |
| 7. იაცეკ კურანტი | 06.02.1978 |
| 20. კრჟიშტოფ მიხალაკი | 15.04.1987 |
| 24. იაკუბ ტოსიკი | 21.05.1987 |

**თავდამსხმელები**

| | |
|---|---|
| 29. მარიუშ ზავოძინსკი | 11.02.1989 |
| 9. კარლოს კოსტლი | 18.07.1982 |
| 11. რაფალ ბოგუშკი | 09.06.1984 |
| 17. დავიდ ნოვაკი | 30.11.1984 |
| 14. მარჩინ ტრუჟკოვსკი | 08.09.1984 |
| 25. მარიუშ უჟეკი | 06.12.1977 |

# ყველაფერთან ახლოს, ყველაფრისგან შორს

## გკს ბელხატუვი

ბელხატუვი, პოლონეთი

დაარსდა 1977 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ირჟი ოზოგი
მთავარი მწვრთნელი: ორესტ ლენჩიკი
სტადიონი: „გკს ბელხატუვი" (ტევადობა 6 870)
პოლონეთის ვერცხლის მედალოსანი (1): 2007
პოლონეთის თასის ფინალისტი (2): 1996, 1999
პოლონეთის ლიგის თასის ფინალისტი (1): 2007

**პოლონეთის** შუაგულში არის პატარა ქალაქი ბელხატუვი, სადაც სულ 63 ათასი მაცხოვრებელია და მათ იოტისხელადა დააკლდათ დიდ სიხარულამდე — მათი საყვარელი კლუბი „ბელხატუვი" თითქმის მთელი სეზონის მანძილზე ლიდერობდა ჩემპიონატს, მაგრამ ბოლოსწინა ორ ტურში ზედიზედ წააგო „ვისლასთან" და „კორონასთან", რითაც მდევარმა „ზაგლებემ" ისარგებლა, ქულით გაასწრო და ცხვირწინ აცალა ჩემპიონობა.

„ბელხატუვი", რომელიც სულ მესამე სეზონს ატარებდა პირველ ლიგაში, მეორე ადგილზე გავიდა და...

ისე გამოდის, რომ ხუთი წლის „ამერი" ევროსაზომით „ბელხატუვზე" შედარებით გამოცდილი გუნდია — „ყვითლები" პირველად შარშან იყვნენ უეფას თასზე, 30 წლის „ბელხატუვი" კი პირველად წლეულს ნახავს ევროსარბიელს.

ცოტა რამ ამ კლუბის ისტორიაზე: 1977 წელს დაარსებულმა „ბელხატუვმა" მეოთხე ლიგიდან დაიწყო და 1992 წელს უკვე პირველ ლიგაში იყო, თუმც ოდენ ერთი სეზონით.

გუნდი 2005-2006 წლების სეზონისთვის დაუბრუნდა უძლიერესთა მარაქას და მეათე ადგილზე გავიდა, წლევანდელი ვერცხლი კი ნამდვილი სენსაცია იყო.

ჰო, „ბელხატუვს" ორჯერ უთამაშია პოლონეთის თასის ფინალში — 1996 და 1999 წლებში ორივეჯერ წააგო, შესაბამისად, „ამიკასთან" და „რუხთან". წლეულს, 10 ივნისს კი ლიგის თასიც დათმო — 0:1 „გრცლინთან".

ორესტ ლენჩიკი — ეს 64 წლის კაცია „ბელხატუვის" მთავარი მწვრთნელი. სხვათა შორის, სწორედ იგი წვრთნიდა ამ გუნდს 1999 წელსაც, როცა ფინალში წააგეს „რუხთან". მანამდე ლენჩიკს ბევრ პოლონურ კლუბში უმუშავია, ყველაზე მეტხანს კი სწორედ „რუხში" იყო.

ლენჩიკმა მწვრთნელობა 1972 წელს დაიწყო.

„ბელხატუვს" ერთადერთი ლეგიონერი ჰყავს: ჰონდურასის ნაკრების 25 წლის ფორვარდი კარლოს კოსტლი, რომელმაც ამასწინათ გასრულებულ კონკაკაფის ოქროს თასზე 2 გოლი გაიტანა.

პოლონეთის ნაკრების წევრია გამთამაშებელი ლუკაშ გარგულა, ხოლო მცველი პაველ სტრაკი და ფორვარდი დავიდ ნოვაკი კანდიდატებად ითვლებიან.

სამაგიეროდ, ნახევარმცველი კრჟიშტოფ მიხალაკი და განსაკუთრებით, მცველი არტურ მარჩინიაკი ახალგაზრდული ნაკრების საკვანძო ფეხბურთელები არიან.

„ბელხატუვმა" ახალი სეზონისთვის მზადება ოთხი დღის წინ დაიწყო და უკვე შვიდი ტრანსფერი განახორციელა. ლენჩიკის გუნდს შეემატნენ: — ვოიცეხ ვოლანსკი („ლოძი"), გჟეგოჟ კრიშტოშიაკი („რაძინი"), მატეი სტოლიარჩიკი („ვისლა"); ნახევარმცველები — პატრიკ რახვალი („პლოცკი"), მატეუშ ცეტნარსკი, იაკუბ ფეტერი (ორივე „ლოძი") და თავდამსხმელი პაველ ადამეცი („ლოძი").

როგორც შევიტყვეთ, „ბელხატუვი" კიდევ აპირებს მოთამაშეების დამატებას და სავარაუდო ახალწვეულთა შორის პერუს „ალიანსა ლიმას" სამი კაცია, თუმც ბევრია სავარაუდო წამსვლელიც: პირველ რიგში, ნოვაკი, რომელსაც „ზაგლებე" ეპატიჟება; ნაქები კოსტლი, ვინაც მექსიკურ „ატლასს" სურს; გარგულას კი იტალიური „პალერმოსა" და ვარშავის „ლეგიას" ვარიანტები ჰქონია. მთლიანობაში, „ბელხატუვიდან" შესაძლო წამსვლელთა სია 11-კაციანია.

და ერთიც: ამ გუნდის სტადიონი, რომელიც 6 870 მაყურებელს იტევს, თითქმის ყოველთვის სავსეა. ალბათ, „ამერთანაც" ასე იქნება...

**ილია ნანობაშვილი**

**I ლიგა 2006-2007**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზაგლებე | 30 | 18 | 8 | 4 | 57:29 | 62 |
| ბელხატუვი | 30 | 19 | 4 | 7 | 63:32 | 61 |
| ლეგია | 30 | 16 | 4 | 10 | 53:33 | 52 |
| კრაკოვია | 30 | 14 | 7 | 9 | 48:41 | 49 |
| გროცლინი | 30 | 11 | 5 | 4 | 40:26 | 48 |
| ლეხი | 30 | 12 | 11 | 7 | 53:36 | 47 |
| კორონა | 30 | 14 | 5 | 11 | 41:34 | 47 |
| ვისლა | 30 | 10 | 16 | 4 | 41:25 | 41 |
| ლოძი | 30 | 10 | 11 | 9 | 31:30 | 41 |
| ოდრა | 30 | 10 | 10 | 10 | 29:36 | 40 |
| არკა | 30 | 10 | 10 | 10 | 43:39 | 40 |
| ვიძევი | 30 | 7 | 7 | 16 | 27:48 | 28 |
| ლეჩნა | 30 | 7 | 5 | 18 | 24:64 | 26 |
| გურნიკი | 30 | 6 | 7 | 17 | 30:51 | 25 |
| პლოცკი | 30 | 4 | 11 | 15 | 20:47 | 23 |
| პოგონი | 30 | 3 | 7 | 20 | 24:53 | 16 |



ორესტ ლენჩიკი



კარლოს კოსტლი



## გაგვიმართლა და არც გაგვიმართლა

*„ამერის" მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე თვლის, რომ სერიოზულ გუნდთან აქვს საქმე — პოლონეთის ჩემპიონატის მეორეადგილოსნობა თავისთავად მეტყველებს სიძლიერეზე...*

— „ბელხატუვი" ბოლო ტურამდე იბრძოდა ჩემპიონობისთვის. მეტოქეს ჯერ არ ვიცნობთ და სანამ მათი თამაშის ფირს არ ვნახავ, ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მობილური და ფიზიკურად ძლიერი გუნდი იქნება. ალბათ, მწვრთნელიც გამოცდილი ეყოლება...

...ის, რომ „ბელხატუვი" პირველად გავიდა ევროტურნირებზე, უპირატესობას არ გვაძლევს ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი ბრძოლა მოგვიწევს...

...სავარაუდო მეტოქეებიდან ყველანი თითქმის თანაბარი დონისანი არიან, ასე რომ, არ გაგვიმართლა, ან პირიქით, გაგვიმართლაო, ვერ ვიტყვი.

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2007

## ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი



ერნან კრესპო დიეგო მარადონას დაეწია



AFP

# კრესპო მარადონას ტოლია

**C ჯგუფი. I ტური**

**არგენტინა 4:1 აშშ**

0:1 ჯონსონი (9პ), 1:1, 2:1 კრესპო (11, 64), 3:1 აიმარი (78), 4:1 ტევესი (85)

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, გ. მილიტო, ჰაინცე, მასკერანო, ხ. ვერონი, კამბიასო (აიმარი 58), რიკელმე, კრესპო, მესი (ტევესი 79)

მწვრთნელი: ალფიო ბასილე

აშშ: კელერი, კონრადი, უინი, დე მერიტი, ბორნშტაინი, ოლსენი (გევენი 62), ფილჰაბერი, კლერკი, მეპი, ე. ჯონსონი, ტველმანი (ე. გომესი 69)

მწვრთნელი: ბობ ბრედლი

გაფრთხილება: მილიტო, ბორნშტაინი

მსაჯი: კარლოს ჩანდია (ჩილე)

34 500 მაყურებელი

**ერნან კრესპომ** დუბლი შეასრულა, ნაკრების მაისურით 34 გოლი მოაგროვა და ამით ლეგენდარულ დიეგო მარადონას გაუტოლდა.

„ჩემთვის უდიდესი პატივია მარადონასთან გატოლება“ — თქვა მილანის „ინტერის“ ფორვარდმა ნამატჩევს.

ერთის კვირის წინ, კონკაკაფის ოქროს თასის მომგებ აშშ-ს, იმ შემადგენლობიდან არგენტინასთან მხოლოდ ოთხი ფეხბურთელი ჰყავდა და, მიუხედავად ამისა, დაწინაურება მაინც შეძლო. ედი ჯონსონი ორ მცველს გაექცა და გაბრიელ მილიტომ საჯარიმოში წააქცია. პენალტი ჯონსონმავე შეასრულა და 1:0.

ამერიკელების სიხარული ორ წუთს გაგრძელდა, რადგან ხუან რომან რიკელმეს მიერ შესრულებულ საჯარიმოს ერნან კრესპოს გოლი მოჰყვა.

არგენტინა თავიდან ნელი იყო, მაგრამ ტაიმის მიწურულს ტემპს უმატა, რადგან მიხვდა, რომ სიარულით თამაშს ვერ მოიგებდა. სწორედ ამის შედეგად შეიქმნა მომენტი ამერიკელთა კართან და კეისი კელერს ხუან სებასტიან ვერონის უძლიერესი დარტყმულის მოსაგერიებლად გადახტომა დასჭირდა.

შესვენების შემდეგ კი ლეო მესიმ გაიბრწყინა — მეტოქის დაცვა ერთი პასით გააუქმა და კრესპო მარადონას დააწია. შეცვლაზე შესულმა პაბლო აიმარმა უფრო შეაფერადა არგენტინის შეტევები და გაბრიელ ჰაინცეს პასით თავური შეაგდო. ამის მერე მესი კარლოს ტევესმა შეცვალა და ექვს წუთში მეოთხედ გამოატანინა ბურთი კელერს.

„ვიცოდით, რომ მეტოქე დაცვაში ჩადგებოდა და მათი გატეხვა გაგვიჭირდებოდა — თქვა რიკელმემ — მაგრამ მშვიდად ვაკეთებდით საქმეს და მოთმინება დაგვიფასდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# შერცხვენილი პინტო: ბოდიში, კოლუმბია!



კოლუმბია როკე სანტა კრუზმა დაარბია

AFP

**პარაგვაი 5:0 კოლუმბია**

1:0, 2:0, 3:0 სანტა კრუზი (30, 46, 80), 4:0, 5:0 კაბანასი (85, 88)

პარაგვაი: ვილიარი, დ. ვერონი, კასერესი, და სილვა, ბონეტი, რივეროსი, ე. ბარეტო, სანტანა (ე. ვერა 79), კ. როდრიგესი, სანტა კრუზი (დანტე ლოპესი 84), ო. კარდოზო (ს. კაბანასი 70)

მწვრთნელი: ხერარდო მარტინო

კოლუმბია: კალერო, ვალენო, კორდობა, იეპესი, არისალა (ვ. მარინი 63), ვიაფარა, ფ. ვარგასი, დ. ფერეირა, ა. დომინგესი (მ. ტორესი 56), როდალედა (ლ. რეი 16), ე. პერეა

მწვრთნელი: ხორხე ლუის პინტო

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

34 500 მაყურებელი

**„მრცხვენია** და ბოდიშს ვუხდი კოლუმბიას! — თქვა პარაგვაისგან განადგურებული ნაკრების მწვრთნელმა ხორხე ლუის პინტომ — გულშემატკივრებს კი ვთხოვ, გაგვიგონ, რომ ნებისმიერ გუნდს შეიძლება დაემართოს მსგავსი რამ. ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს“.

ასე თუ გააგრძელებს კოლუმბია, ჯგუფიდან მერვედფინალში კი არ გავა, სახლში წავა.

მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდმა როკე სანტა კრუზმა გაილაღა — ჰეთ თრიქი შეასრულა, შეცვლაზე შესულმა სალვადორ კაბანასმა კი 18 წუთი იკმარა წყვილის გასატანად.

28-ე წუთზე დავიდ ფერეირას წაქცევისთვის, პარაგვაის ნაკრების კარში პენალტი დაინიშნა. ალვარო დომინგესმა სუსტად დაარტყა და მეკარე ხუსტო ვილიარმა ბურთი მოიხელთა. ორი წუთის შემდეგ კი კოლუმბიელთა რბევა როკე სანტა კრუზმა დაიწყო — საჯარიმოში მარცხნიდან შესულმა გაუტანა მიგელ კალეროს.

მეორე ტაიმის 22-ე წამზე ბაიერნელმა სხვაობა ორამდე გაზარდა — ივან კორდობა ჩამოიცილა და მარჯვენა ფეხით შეაგდო. კოლუმბიელ ედისონ პერეას კი ჰქონდა ორი მომენტი, მაგრამ მეკარე ხუსტო ვილიარმა იყოჩაღა.

თამაშის დასრულებამდე ათი წუთით ადრე სანტა კრუზმა მეორედაც აჯობა კორდობას და მესამე გოლი მიითვალა. შეცვლაზე შესულმა კაბანასმა კი პირველი საჯარიმოს გარედან გაიტანა, რასაც სამ წუთში მეორე მიაყოლა.

„პენალტის შემდეგ ჩემი გუნდი დაუნდობელი გახდა — განაცხადა პარაგვაის თავკაცმა ხერარდო მარტინომ — ბურთს მეტოქე უფრო ხშირად ფლობდა, მაგრამ, როგორც კი მათ საჯარიმოში აღმოჩნდებოდა, გოლები ჩვენ გაგვქონდა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| არგენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| აშშ | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

II ტური, 2 ივლისი

**აშშ — პარაგვაი**

**არგენტინა — კოლუმბია**



# პლატინის ნოვაცია

## ნუ გაგიკვირდებათ, მალე ჩემპიონთა ლიგაზე ორი ქართული გუნდი თუ გავა

**უეფას** პრეზიდენტ მიშელ პლატინის რომ ბევრი ახალი იდეა აქვს და საფეხბურთო სამყაროში გარკვეული ცვლილებების მოხდენას აპირებს, ცნობილი ამბავია. ამჟამად მან წამოჭრა საკითხი, ქვეყნების თასების გამარჯვებულთათვის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მიცემის თაობაზე.

ამ საკითხზე მუშაობა უეფამ უკვე დაიწყო. მას დაწვრილებით აგვისტოში განიხილავენ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას სექტემბერში, სტამბოლში გასამართ სხდომაზე მიიღებენ. ეს იდეა უკვე მოიწონა რამდენიმე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ.

„პრეზიდენტს სურს, ქვეყნის თასის გამარჯვებულს ჩემპიონთა ლიგის საგზური მიეცეს. ეს წამახალისებს ეროვნულ ასოციაციებს და თასისთვის ბრძოლას დამატებით ეშხს შესძენს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც თასის გათამაშებას დიდი ყურადღება აღარ ექცევა“ — ნათქვამია უეფას განცხადებაში.

დასამალი არ არის, რომ, ძალიან ბევრ ქვეყანაში თასს გაცილებით ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე ჩემპიონატს. ეს ბოლო წლებში განსაკუთრებით შესამჩნევია. ასე რომ, წესით, ახალი იდეა ყველასთვის მისაღები და მოსაწონი უნდა იყოს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ პლატინის სურს, ქვეყნებს, რომელთაგან ჩემპიონთა ლიგის საგზური ოთხ გუნდს ეძლევა, თითო საგზური მოაკლდეთ და ამით პატარა ქვეყნებს მეტი შანსი მიეცეთ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ხულიგანი ყოველთვის მოგვწონდა

## მილანი ანტონიო კასანოზე გადაერთო

**„მილანის“** მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ აღნიშნა, რომ კლუბი ისევ ეძებს ფორვარდს და თუ ამ ზაფხულს ვინმეს დაიმატებს, ეს მხოლოდ თავდამსხმელი იქნება.

ძველ კანდიდატებს, „ინტერნასიონალის“ 17 წლის ვარსკვლავ ალეშანდრე პატოს, ლიონელ ფრედისა და ბარსელონელ სამუელ ეტოოს, ახლა ანტონიო კასანოც შეემატა. ეს ინფორმაცია „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც დაადასტურა...

| 17018 | ლოვ ჰამ-ჰაუგესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | მანდალი-ჰამარი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | მოსი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ნოტოდენი-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | რაუფოსი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17023 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | სპარტა ს-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | ბრომაპოიკარნა-გაის | 1.85 | 1.95 |
| 17032 | იურგორდენი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17033 | გიოტებორგი-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17034 | კალმარი-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ჰაკ-ვპს | 1.85 | 1.95 |
| 17058 | ინტერი-ჰაკა | 1.85 | 1.95 |
| 17137 | ბოლივია-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17138 | ვენესუელა-პერუ | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ბრაზილია-ჩილე | 1.85 | 1.95 |
| 17140 | მექსიკა-ეკვადორი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ნახევრად წაიგება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლოკომოტივი მ-კრილია | 1.45 | 2.40 |
| 14002 | სატურნი-ამკარი | 1.65 | 2.30 |
| 14003 | ნალჩიკი-ენერგია | 1.75 | 2.10 |
| 14004 | ცსკა მ-ყუბანი | 1.08 | 2.90 |
| 14005 | მოსკოვი-ზენიტი | 1.90 | 1.90 |
| 14006 | ხიმკი-ტომსკი | 1.75 | 2.10 |
| 14007 | როსტოვი-სპარტაკი მ | 2.40 | 1.45 |
| 14008 | რუბინი-დინამო მ | 1.80 | 2.00 |
| 14010 | ვოლერენგა-ვიკინგი | 1.80 | 2.00 |
| 14011 | ფრედრიკსტადი-ოდ გრენლანდი | 1.70 | 2.20 |
| 14012 | სანდეფიორდი-ლილესტრიომი | 2.30 | 1.65 |
| 14013 | სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი | 1.30 | 2.50 |
| 14014 | სტარტი-ლინი | 1.80 | 2.00 |
| 14015 | ბრანი-ტრომსიო | 1.30 | 2.50 |
| 14017 | ჰონეფოსი-სკეიდი | 1.30 | 2.50 |
| 14018 | ლოვ ჰამ-ჰაუგესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 14019 | მანდალი-ჰამარი | 2.60 | 1.20 |
| 14020 | მოსი-ბოდიო გლიმტი | 1.80 | 2.00 |
| 14021 | ნოტოდენი-ბრინი | 2.00 | 1.80 |
| 14022 | რაუფოსი-მოლდე | 2.50 | 1.30 |
| 14023 | სოგნდალი-ტრომსდალენი | 1.30 | 2.50 |
| 14024 | სპარტა ს-კონგსვინგერი | 1.80 | 2.00 |
| 14031 | ბრომაპოიკარნა-გაის | 1.85 | 1.95 |
| 14032 | იურგორდენი-გეფლე | 1.45 | 2.40 |
| 14033 | გიოტებორგი-მალმიო | 1.80 | 2.00 |
| 14034 | კალმარი-იორებრო | 1.30 | 2.50 |
| 14058 | ინტერი-ჰაკა | 2.00 | 1.80 |
| 14137 | ბოლივია-ურუგვაი | 2.60 | 1.20 |
| 14138 | ვენესუელა-პერუ | 1.85 | 1.95 |
| 14139 | ბრაზილია-ჩილე | 1.20 | 2.60 |
| 14140 | მექსიკა-ეკვადორი | 1.45 | 2.40 |

ჭადრაკი

# უკრაინული მასპინძლობა

**უკრაინა,** ყირიმული სანატორიუმი ფოროსი, „აეროსვიტის" რიგით მეორე ტურნირს მასპინძლობს. გათამაშებაში თორმეტი მოჭადრაკე მონაწილეობს და ერთმანეთს ერთ წრეზე ეთამაშებიან.

ტურნირზე მეათე ტური გაიმართა, ანუ ერთი ტურიღა დარჩა სათამაშო და პირველ ადგილზე 7 ქულით კვლავაც მასპინძელი ვასილ ივანჩუკია. მან შავი ფიგურებით, ესპანეთის სახელით მოასპარეზე ალექსეი შიროვს მოუგო და თანამემამულე სერგეი კარიაკინს ნახევარი ქულით გაუსწრო. ამ ტურამდე ორივე უკრაინელი ცხრილს ერთად ლიდერობდა, თუმც მეათეში კარიაკინმა თეთრი ფიგურებით ამერიკელ ალექსანდრ ონიშჩუკს ქულა გაუყო და მეორეზე ჩამოქვეითდა.

მეათე ტურამდე შიროვმა სამ პარტიაში 2,5 ქულა დააგროვა და ტურნირის მოგების შანსი გაიჩინა. სპეციალისტები მისა და ივანჩუკის დაპირისპირებაში ფავორიტად პირინიელს მიიჩნევდნენ, თუმც უკრაინელმა პროგნოზები არად ჩააგდო და სტუმარს მსუყე ქულა დასცინცლა.




მეტოქეებმა ესპანური პარტია გაითამაშეს. შიროვმა ცენტრში პაიკები გამოიყვანა, გვერდებიდან კუები ამოუყენა და ივანჩუკს შეუტია. უკრაინელმა თეთრების შეტევა მოიგერია, ეტლები ხელმწიფის ფლანგზე გადასხა და იერიშებს მიმართა. 31-ე სვლაზე უკრაინელმა ლაზიერიც მიახმარა ეტლებს, შიროვის მეფე კუთხეში გაჭედა და სამ სვლაში დაამათა.

**ლუკა გეგეჭკორი**

კალათბურთი

# გუშინ უკეთ, ვიდრე გუშინწინ

**უკრაინის** ახალგაზრდულ ნაკრებთან გუშინწინ 21 ქულით წაგებული მატჩის შემდეგ ჩვენების ქართველების დავით უსტიაშვილმა თქვა, მჯერა, რომ მომავალ შეხვედრას უკეთ ვითამაშებთო. ასეც მოხდა — გუშინ ქართველმა ახალგაზრდებმა ღირსეული ბრძოლა გაუმართეს უკრაინელებს, ბოლო მეოთხედამდე უძალიანდებოდნენ და არაერთხელ წინაც იყვნენ, მაგრამ ბოლო წუთებზე ჩვენებს იღბალმა აქცია ზურგი და უსტიაშვილის სამწყსო 10 ქულით დამარცხდა.

ნამატჩევს კიევში ჩვენიანთა მთავარ მწვრთნელს შევეხმიანეთ, რომელიც უწინდელთან შედარებით გაცილებით კარგ ხასიათზე იყო...

„გუშინდელთან შედარებით რა განსხვავებაა, დღეს უკრაინელებს არაფერი დავუთმეთ, მთელი თამაში თანაბარი ბრძოლა იყო და ბოლო წუთებზე წავაგეთ — გვითხრა დავით უსტიაშვილმა — პირველი ტაიმი ფრედ, 24:24 დასრულდა და თანაბარი ორთაბრძოლა მესამე მეოთხედშიც გაგრძელდა. ხან ჩვენ გავუსწრებდით 4-5 ქულით, ხან უკრაინელები. რომ არა მასპინძლების მიერ მესამე მეოთხედის ბოლო წამზე ჩაგდებული ბურთი, გადამწყვეტი ათწუთეულის დაწყებამდე ლიდერები ვიქნებოდით. ასე კი ერთი ქულით ჩამოვრჩით და სანამ ბოლო წუთები არ დადგა, გამარჯვების შანსი ჩვენც გვქონდა და უკრაინელებსაც."

**ირაკლი პერტაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკული ნიჭის ბაზარი



AFP ნიუ იორკიდან

**დავითი და გოლიათი:**
**გრეგ ოდენმა დევიდ შტერნს ხელი ჩამოართვა და ნბა-ში შეაბიჯა**

**ტუხელლამ** ნიუ იორკში, ცნობილ დარბაზ „მედისონ სკვერ გარდენში" დრაფტი-2007 ჩატარდა, რომლის შედეგადაც ნბა-ს 30-მა კლუბმა დიდი კალათბურთისთვის მომწიფებულ 60 ახალგაზრდაზე უფლებები დაინაწილა.

ჩვენში მოისმენდით საუბარს, თითქოს ლიუბლიანას „ოლიმპიის" 21 წლის მსროლელი მანუჩარ მარკოიშვილი დრაფტში მონაწილეობას აპირებდა, მაგრამ მანუჩარმა ამერიკულ კალათბურთში კარის შელება ერთი წლით გადადო და 2007 წლის დრაფტმა, 2006-ის მსგავსად, ქართული სახელის გარეშე ჩაიარა. შეგახსენებთ, რომ წინა სამ დრაფტზე სამი ქართველი შეირჩა — 2003 წელს ნიკა ცქიტიშვილს „დენვერმა" დაადო ხელი (მე-5 ნომრად), 2004-ში „ორლანდომ" ზაზა ფაჩულია ირჩია (42-ე), 2005-ში კი „სან ანტონიომ" ვიქტორ სანიკიძე (43-ე) შეარჩია, ოღონდ გუნდში აღარ აუყვანია.

და საერთოდ, ევროპელებმა წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად დათმეს პოზიცია. ყველაზე მაღალ ნომრად არჩეული ევროპელი შეიქნა იტალიელი მსროლელი მარკო ბელინელი, რომელიც მე-18 არჩევნის მქონე „გოლდენ სტეიტმა" შეამჩნია. „სან ანტონიომ" 28-ე ნომრად აიყვანა ევროპაში ნაწრთობი ბრაზილიელი მეფარე ტიაგო სპლიტერი. იყო კიდევ ერთი არაამერიკელი: მე-6 არჩევნის მქონე „მილუოკიმ" გარისკა და ხელი დაადო 213-სანტიმეტრიან ჩინელ იი ძიანლიანს, რომელსაც პასპორტში დაბადების წლად 2008 უწერია, მაგრამ ჭორები დადის, სინამდვილეში 19-ის კი არა, კარგა 22 წლისააო.

სხვამხრივ ნაღები ამერიკელი ახალგაზრდობა დიდი ზარ-ზეიმით და ტაშისკვრის აკომპანიმენტით გადაბარგდა სტუდენტური ანუ სამოყვარულო კალათბურთიდან პროფესიულში, ანუ იქ, სადაც წლიური ხელფასები შვიდ და ხშირად რვანიშნა რიცხვებში აისახება.

პირველი არჩევნის გაკეთების უფლება „პორტლენდს" ჰქონდა. ამ გუნდების შეფებმაც ბოლოს და ბოლოს გარისკეს და აირჩიეს 216-სანტიმეტრიანი და 112-კილოგრამიანი ცენტრი გრეგ ოდენი, რომელმაც წლეულს თავისი ოჰაიო სტეიტი სტუდენტურ ფინალში გაიყვანა. ოდენს უზარმაზარი პოტენციალი აქვს, რომ თავისი ეპოქის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად იქცეს, მაგრამ პორტლენდის წარმომადგენლებს მისი ტრავმიანობა აჭიოჭმანებდათ და გამოკითხვაც მოაწყვეს — ოდენი ავიყვანოთ, თუ კევინ დურანტიო. გულშემატკივრებმა პირველი მოითხოვეს. ბევრი მათგანი ქვეყნის მეორე კიდეზე, ნიუ იორკშიც კი ჩაფრინდა და ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა პირველ ნომრად, ანუ „პორტლენდის" რჩეულად ეს შავ-შავი გოლიათი რომ დაასახელა, ხალხი ისე შეცვივდა ტრიბუნიდან სცენად გადაკეთებულ მოედანზე, თითქოს მათ გუნდს პლეი ოფის ფინალში ბოლო წამზე გადამწყვეტი ბურთი ჩაეგდოს და ჩემპიონობა მოეპოვებინოს.

მეორე არჩევანი „სიეტლს" ეკუთვნოდა და გადაწყვეტილი იყო, რომ ეს გუნდი „პორტლენდის" მიერ ოდენსა და დურანტს შორის დაწუნებულს აიყვანდა. მანამდე კი „სიეტლმა" თავისი ლიდერი და ვარსკვლავი, შვიდგზის ოლსტარელი რეი ალენი „ბოსტონში" გაცვალა, რაც ყველამ სიგიჟესთან მიახლოებულ ნაბიჯად ჩათვალა. დურანტი 206-სანტიმეტრია და 93 კილოს იწონის, ანუ კლასიკური მსუბუქი ფორვარდია. გასაკვირი ისაა, რომ „სიეტლმა" რეი ალენის ნაცვლად მიიღო მსუბუქი ფორვარდი უოლი შჩერბიაკი და მე-5 არჩევნის უფლება რაც... ასევე მსუბუქი ფორვარდის ასაყვანად გამოიყენა.

მესამე არჩევანი ჩვენებური ზაზა ფაჩულიას „ატლანტას" ეკუთვნოდა. ყველაფერს რომ თავისი სახელი დავარქვათ, ამ გუნდის შეფები კიდევ ერთხელ სულელურად მოიქცნენ. ორი წლის წინანდელ დრაფტზე მათ ორი კარგი გამთამაშებელი — კრის პოლი და დერონ უილიამსი ვერ „შენიშნეს", მაშინ, როცა ამ გუნდს კარგა 10 წელია, ამ ამპლუის ხეირიანი მოთამაშე არ ჰყავს და იმიტომაც ხეხავს გამუდმებით ცხრილის ფსკერს. ახლა „ატლანტის" შეფებს შანსი ჰქონდათ, ოჰაიო სტეიტში გრეგ ოდენის თანაგუნდელი მაიკ კონლი დაენახათ, მაგრამ იხარბეს და უფრო ტანად ალ ჰორფორდს მოჰკიდეს ხელი, რომელიც ფორვარდია და „ატლანტას" ფორვარდთა კოჰორტაში (ჯოშ სმიტი, ჯოშ ჩილდრესი, მარვინ და შელდენ უილიამსები) ან შეძლებს თავისი ნიჭის წარმოჩენას, ან არა.

მერე „ატლანტამ" მეთერთმეტე ნომრად შედარებით უცნობი გამთამაშებელი აისი ლოუ დაიმატა და ასე ჩაჩუმა რიგიანი გამთამაშებლის მომთხოვნი საკუთარი ფანები.

კორნის კი წინა სეზონის უცუდესმა გუნდმა „მემფისმა" დასტაცა ხელი და ალბათ კარგადაც გამოიყენებს შებერებული დეიმონ სტუდემაიერის შემცვლელად.

ბოლო ორი წლის სტუდენტური ლიგის ჩემპიონმა ფლორიდის უნივერსიტეტმა ამ დრაფტზე თავისი სასტარტო ხუთეულის უკლებლივ ყველა წევრი „გაასაღა". მათ შორის სამი ძალიან სწრაფად დაიტაცეს — ჰოლფორდი მესამე ნომერი გახდა, კორი ბრიუერი — მეშვიდე, იოაკიმ ნოა კი — მეცხრე. ეს უკანასკნელი, სხვათა შორის, წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელის იანიკ ნოას ვაჟიშვილია. შენაძენით განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა „მინესოტა", რომელმაც თავისი ლიდერი კევინ გარნეტიც შეინარჩუნა და ახლა მას გვერდით დაცვის სპეციალისტ ბრიუერსაც ამოუყენებს.

„შარლოტ ბობქეთსმაც" რიგიანი ჯეელი აიყვანა მერვე ნომრად — ჩრდილოეთ კაროლინელი ბრენდან რაიტი, მაგრამ ის მაშინვე „გოლდენ სტეიტს" გაუცვალა ნბა-ში თამაშის ექვსწლიანი სტაჟის მქონე ჯეისონ რიჩარდსონში.

**ბოტე ყორშია**



იოაკიმ ნოა

AFP ნიუ იორკიდან

## სიეტლი ამსუბუქდა

**დრაფტის ღამეს** ნბა-ში არაერთი ხმაურიანი გაცვლა გაიჩარხა, რომელთა შორის ორი მეტად საინტერესო გამოდგა.

30 წლის სემ პრესტიმ „სიეტლ სუპერსონიქსის" გენერალური მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობა იმით დაიწყო, რომ გუნდის ლიდერი, თავისზე ერთი წლით უფროსი რეი ალენი „ბოსტონ სელტიქსში" გაცვალა და ამგვარად ახალი გუნდის მშენებლობა ძველისთვის საყრდენის გამოცლით დაიწყო. შემდეგ სემ პრესლიმ დრაფტს მიაპყრო ყურადღება და მეორე არჩევნის გაკეთების უფლება კევინ დურანტზე გამოიყენა.

„სიეტლს", ცხადია, „ბოსტონიდანაც" ერგო რეი ალენის სანაცვლოდ რაღაც, კონკურენტულად კი მსუბუქი ფორვარდი ვილი შჩერბიაკი, ისე-რა გამთამაშებელი დელონტე ვესტი და მეხუთე არჩევნის უფლება, რომელიც პრესტიმ ასევე მსუბუქი ფორვარდის, ჯორჯტაუნელი ჯეფ გრინის ასაყვანად გამოიყენა. გუნდს ჰყავს კიდევ ერთი მსუბუქი ფორვარდი რაშარდ ლუისი, რომელიც ორგზის ოლსტარელი გახლავთ და სეზონი რომ დაიწყება, მერე ნახეთ მწვრთნელის გადარევა, რომელსაც სემ პრესტი, ყველა იმ სიმსუბუქის ნაყოფიერად გამოყენებას მოსთხოვს.

## პორტლენდმა კარგად ივაჭრა

**„სიეტლისგან"** განსხვავებით ნაყოფიერად ივაჭრა „პორტლენდმა", ვინაც პირველ ნომრად უნიჭიერესი გრეგ ოდენის აყვანის გარდა სხვა მხრივაც გადაახალისა გუნდი. კლუბის შეფმა კევინ პრიტჩარდმა ამ და შარშანდელ დრაფტზე აყვანილ სამ პერსპექტიულ მოთამაშეს (ოდენი, ბრენდან როი და ლამარკუს ოლდრიჯი) მეტი თავისუფლების შეგრძნების მიზნით მოაშორა „ბლეიზერსის" საუკეთესო მექულე და მომხსნელი ზაკ რენდოლფი, რომელიც ღრმა თადარიგის ორ მოთამაშესთან — დენ დიკაუსა და ფრედ ჯონსთან ერთად „ნიუ იორკში" აფრინა, იქიდან კი კარგი გამთამაშებელი სტივ ფრენსისი და ხურდად ფორვარდი ჩანინგ ფრაი წამოიყვანა. ახლა „პორტლენდი" საკმაოდ თანაბრადაა დაკომპლექტებული და ჯერი მწვრთნელისა და მოთამაშეების მარიფათზეა.

## დრაფტი. I რაუნდი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პორტლენდი | გრეგ ოდენი | 217 | ოჰაიო | 16 | ვაშინგტონი | ნიკ იანგი | 198 | USC |
| 2 | სიეტლი | კევინ დიურანი | 207 | ტეხასი | 17 | ნიუ ჯერსი | შონ უილიამსი | 208 | ბოსტონი |
| 3 | ატლანტა | ალ ჰორფორდი | 208 | ფლორიდა | 18 | გოლდენ სტეიტი | მარკო ბელინელი | 196 | ბენეტონი (იტალია) |
| 4 | მემფისი | მაიკ კონლი | 185 | ოჰაიო | 19 | ლეიკერსი | ჯავარის კლიტენტონი | 196 | ჯორჯია |
| 5 | ბოსტონი | ჯეფ გრინი | 204 | ჯორჯტაუნი (სიეტლში გაუშვა) | 20 | მაიამი | ჯეისონ სმიტი | 214 | კოლორადო (ფილადელფიაში გაუშვა) |
| 6 | მილუოკი | ი იანლიანი | 214 | გუანჯოუ (ჩინეთი) | 21 | ფილადელფია | დეჟან კუკი | 196 | ოჰაიო (დენვერისგან) |
| 7 | მინესოტა | კორი ბრეუერი | 204 | ფლორიდა | 22 | შარლოტი | ჯარედ დადლი | 200 | ბოსტონი (ტორონტოსგან) |
| 8 | შარლოტი | ბრენდენ რაიტი | 208 | ჩრ. კაროლინა (გოლდენ სტეიტში გაუშვა) | 23 | ნიუ იორკი | უილსონ ჩანდლერი | 204 | დეპოლი (ჩიკაგოსგან) |
| 9 | ჩიკაგო | იოაკიმ ნოა | 210 | ფლორიდა (ნიუ იორკისგან) | 24 | ფინიქსი | რუდი ფერნანდესი | 200 | უნიკახა (ესპანეთი), (კლივლენდისგან) |
| 10 | საკარმენტო | სპენსერ ჰეიუსი | 210 | ვაშინგტონი | 25 | იუტა | მორის ალმონდი | 198 | რაისი |
| 11 | ატლანტა | ელის ლოუ | 190 | ტეხასი (ინდიანასგან) | 26 | ჰიუსტონი | აარონ ბრუქსი | 183 | ორეგონი |
| 12 | ფილადელფია | თადეუს იანგი | 204 | ჯორჯია | 27 | დეტროიტი | არონ აფლალო | 200 | UCLA |
| 13 | ნიუ ორლეანი | ჯულიან რაიტი | 204 | კანზასი | 28 | სან ანტონიო | ტიაგო სპლიტერი | 213 | ტაუ (ესპანეთი) |
| 14 | კლიპერსი | ალ ტორნტონი | 204 | ფლორიდა სტეიტი | 29 | ფინიქსი | ალანდ ტუკერი | 200 | ვისკონსინი |
| 15 | დეტროიტი | როდნი სტაკი | 188 | სამხრეთ ვაშინგტონი (ორლანდოსგან) | 30 | ფილადელფია | პეტერი კოპონენი | 198 | ??? |

# ახალგაზრდები ძველს გაიხსენებენ

**გასული საუკუნის** 70-იან წლებში გამართულ კანადა-სსრკ-ს სუპერსერიებს დღესაც დიდი ნოსტალგიით იხსენებენ რუსეთშიცა და ოკეანგაღმეთშიც. მართლაც, ჰოკეის ამ ორი უდიდესი სკოლის ჯახები ყოველთვის განსაკუთრებულად გემრიელი საცქერი იყო გულშემატკივრებისთვის. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ "გამოჩნდა ხალხი, რომელთაც ამ ტრადიციის აღდგენა მოუნდათ.

თუმც ერთია სურვილი და მეორე — საქმე. საეჭვოა ამ წამოწყებიდან სერიოზული რამე გამოვიდეს. ჯერ ერთი, რომ საბჭოეთის დაშლის შემდეგ რუსეთ-კანადას შორის არსებული სპორტული შუღლი მნიშვნელოვნად განელდა. მეორეც, დღევანდელ ჰოკეიში მოდის ბატონი ნჰლ-ია, რომელიც ალბათ გადაულახავი წინაღობა იქნება ამ სერიის აღდგენის მსურველებისთვის — ნჰლ-ის გუნდები თავიანთ ჰოკეისტებს მხოლოდ დიდი წუწუნისა და პროტესტების შემდეგ უშვებენ ოლიმპიადებზე და აბა, ამდგავარ სერიებში თამაშის უფლებას ვის მისცემენ?

ასეა თუ ისე, რადგან ეს საქმე აგორდა, მთლად უკვალოდ ვერ ჩაივლიდა — შედეგად კანადისა და რუსეთის ჰოკეის ფედერაციები შეთანხმდნენ, რომ ძირითადი ნაკრებების დაპირისპირება თუ არ გამოვა, მაშინ ახალგაზრდულები დაატაკონ ერთმანეთს.

ამრიგად, უკვე დადგინდა კალენდარი და ის ქალაქები, სადაც ახალგაზრდა კანადელებისა და რუსების ბატალიები გაიმართება. მოკლედ, მატჩები ამ ქალაქებში შედგება:

27 აგვისტო — უფა, 29 აგვისტო — უფა, 31 აგვისტო — ომსკი, 1 სექტემბერი — ომსკი, 4 სექტემბერი — ვინიპეგი, 5 სექტემბერი — სასკატუნი, 7 სექტემბერი — რედ-დირი, 9 სექტემბერი — ვანკუვერი

# ჩიკაგოში კეინი წარადგინეს




**„ჩიკაგომ“** დიდის ამბით წარუდგინა გულშემატკივრებს წლევანდელ დრაფტზე პირველად ნომრად აყვანილი პატრიკ კეინი. „ბლექჰოქსის“ ხელმძღვანელობა დიდ იმედებს ამყარებს ახალგაზრდა ნნაიპერზე, რომელმაც გასულ სეზონში იუნიორულ ლიგაში თვით უეინ გრეცკის რეკორდი მოხსნა, როცა სეზონში 145 ქულა (62+83) დააგროვა.

თავად კეინი კი, რომელმაც 88-ნომრიანი მაისურა აირჩია, იმედოვნებს, რომ წლეულსვე შეძლებს გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას და ნჰლში თამაშს.

# ლოუს რედენი მოუნდა

**„ედმონტონის“** გენერალური მენეჯერი კევინ ლოუ ყველანაირად ცდილობს გუნდის გაძლიერებას და ამის დაცვიდან დაწყებას გეგმავს — „მენავთობეები“ „ოტავას“ უკანახაზელ უეიდ რედენს უტრიალებენ. თან თავად რედენი ედმონტონელია და იქაურებიც იმედოვნებენ, რომ უეიდი სახლში დაბრუნებას ისურვებს. თუმც ამ საქმიდან რა გამოვა, ძნელი სათქმელია — ლოუ კი ალბათ მხოლოდ ახლა ხვდება, რამხელა შეცდომა დაუშვა, რამდენიმე თვის წინ გუნდიდან უპირობო ლიდერი რაიან სმიტი რომ გაუშვა. ამ კაცის „ედმონტონიდან“ წასვლის შემდეგ გუნდისკენ გული აღარავის მიუწევს და მათ შორის არც რედენს.

„გავიგე, „ედმონტონი“ ჩემით დაინტერესებულა — ეს დიდი პატივია, თუმც „ოტავაში“ დარჩენა მირჩევნია. მართალია, ერთ წელიწადში კონტრაქტი მიმთავრდება, მაგრამ იმედი მაქვს, გავახანგრძლივებ“ — მკვეთრად დააფიქსირა თავისი პოზიცია რედენმა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ „ოტავას“ ხელმძღვანელობამ თავისი მცველის გასხვისება რომც მოინდომოს, ამას ჰოკეისტის ნებართვის გარეშე ვერ გააკეთებს — ეს რედენის კონტრაქტში შავით თეთრზე წერია.

# კაროლინა პიტკანენს უმიზნებს

**ექსჩემპიონი** „კაროლინა“ უკანა ხაზის გადახალისებას გეგმავს. „ქარიშხლების“ ხელმძღვანელობას ძალიან მოსწონს „ფილადელფიის“ ახალგაზრდა მცველი იონი პიტკანენი და მის დასათრევად ყოველ ღონეს იხმარს. ხოლო იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ კიმო ტიმონენის მოსვლის შემდეგ „მფრინავებს“ პიტკანენის მაგვარი შემტევი მცველი ნაკლებად სჭირდებათ, დიდი შანსია, ახალგაზრდა ფინელი „კაროლინაში“ აღმოჩნდეს.

საქმეში ჩახედული ხალხი აცხადებს, რომ პიტკანენს თავისივე ამპლუის რომელიმე ჰოკეისტში — მაიკ კომოდორში ან ნიკლას ვალინში გაცვლიან.

# კალგარიმ კაპიტანი გაიხანგრძლივა



**როგორც ჩანს,** „კალგარი“ მაინც შეუთანხმდა კაპიტან ჯერომ იგინლას — ყოველ შემთხვევაში, კანადური პრესა იუწყება, რომ ახალ კონტრაქტს დღე-დღეზე მოეწერება ხელი. იგინლა თავისუფალი აგენტი მხოლოდ მომავალ ზაფხულს ხდებოდა, თუმც „ალებმა“ თადარიგი აქედანვე დაიჭირეს და კაპიტანი და უპირობო ლიდერი გუნდში კიდევ კარგა ხნით „დააბეს“. ჯერჯერობით ზუსტად არ არის ცნობილი იგინლას კონტრაქტის სიდიდე, მაგრამ საეჭვოა, ჯერემის წლიური ხელფასი 5,5 მილიონზე ნაკლები იყოს.

# ტკაჩუკი ისევ ბლუზს დაუკრავს



**წლევანდელი** პლეი ოფის წინ „ატლანტას“ გენერალურმა მენეჯერმა დეივ უედელმა გუნდის გასაძლიერებლად „სენტ ლუისადან“ ვეტერანი კეიტ ტკაჩუკი წამოიყვანა და ბევრის აზრით, საამისოდ აშკარად ზედმეტი გადაიხადა — პირველი წრის არჩევანი მომავალ ორ დრაფტზე, პლუს თავდასხმელი გლენ მიტროპოლიტი.

მოგეხსენებათ, ჯორჯიელების პირველი საპლეიოფო გამოცდილება წარუმატებელი გამოდგა, რადგან გუნდმა 0:4 წააგო „რეინჯერსთან“. ჰოდა, ისე გამოვიდა, რომ უედელმა დრაფტის არჩევნები წყალში გადაყარა, რადგან ყველას კარგად მოეხსნებოდა, რომ ტკაჩუკი „ატლანტაში“ დამრჩენი არ იყო. ამიტომაც ბატონი უედელი აჩქარდა და თავისი შეცდომა ნაწილობრივ მაინც გამოასწორა — სანამ თავისუფალ აგენტთა ბაზარი გახსნილა (1 ივლისი), „ტრეშერზის“ გენერალურმა მენეჯერმა ტკაჩუკი უკან, „ბლუზმენებთან“ გაუშვა და რამდენიმე თვის წინ გაცემული მომავალი წლის დრაფტ-არჩევანი დაიბრუნა.

**კახა ლომჯარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

**მეათე ეტაპი** საფრანგეთის დიდი პრიზი

## მანი კური

*ნევერი, 1 ივლისი*



ტრასის სიგრძე ------------------------------------ 4.411 კმ
რბოლის დისტანცია ---------------------- 70 წრე — 308.586 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშან:** 1 მ. შუმახერი (ფერარი); 2 ალონსო (რენო); 3 მასა (ფერარი); 4 რ. შუმახერი (ტოიოტა); 5 რაიკონენი (მაკლარენი); 6 ფიზიკელა (რენო); 7 დე ლა როსა (მაკლარენი); 8 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1.15,377 (210,7 კმ/სთ)




კიმი რაიკონენი და ფერნანდო ალონსო

# უკანასკნელი მანი კური

**ხვალ** „სამეფო“ მრბოლები მეჩვიდმეტედ და, ეტყობა, უკანასკნელად გაიჯირითებენ ნევერის გარეუბანში მანი კურის ტრასაზე. შუაგულ საფრანგეთში, ოღონდ მიყრუებულ ადგილზე გაშენებულ ავტოდრომს სულ უფრო აკლდება მაყურებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურის უქონლობის გამო. პარიზიდან 250 კილომეტრით დაშორებულ პროვინციაში სტუმრად ჩასულ საპირველფორმულო პუბლიკას გასართობი არა აქვს და ფინანსურად წამგებიანი ეტაპის ორგანიზატორთა გარდა, ეს „სამეფო რბოლების“ გამგებელ ბერნი ეკლსტოუნსაც არ ეჭაშნიკება და საფრანგეთის დიდი პრიზის დედაქალაქთან ახლოს, ან სულაც პარიზის ქუჩებში ჩატარება სურს.

ბუნებრივია, რეორგანიზაცია საგაისოდ ვერ მოესწრება და ერთ-ერთი უძველესი და უპოპულარულესი ეტაპი სულ მცირე, ერთი წლით კალენდრიდან ამოიშალა.

ხვალ ფავორიტებად ბოლო ორი რბოლის მომგები „მაკლარენის“ ახალბედა ლუის ჰემილტონი და მისი ჩემპიონი თანაგუნდელი ფერნანდო ალონსო ითვლებიან. ხოლო თანამაკელთა შორის ბუქმეიკერები უპირატესობას ანიჭებენ შავკანიან ინგლისელ დებიუტანტს, რომელმაც წლევანდელი შვიდივე რბოლა პოდიუმზე დაასრულა და ორგზის გვირგვინოსან ნანდოს გენერალურ კლასიფიკაციაში ათი ქულით უსწრებს.

საფრანგეთში დღევანდელებიდან თითოჯერ იმარჯვეს ალონსომ, დევიდ კულჰარდმა და რალფ შუმახერმა. ცნობისთვის, სარეკორდო რვა მოგება აქვს მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერს, რაც ფორმულა 1-ის აბსოლუტური მიღწევაა — ერთი ქვეყნის ამდენი დიდი პრიზი სხვას არავის მოუპოვებია.

ოცი დღის წინ მონრეალში რბოლისას საშინელი ავარიის გამო დროებით საჭეს ჩამოშორებული რობერტ კუბიცა ექიმებმა კიდევ ერთხელ გასინჯეს და „მანი კურზე“ გაჯირითების ნება დართეს.

გახარებულ რობერტისგან განსხვავებით, ნირწამხდარია ტაკუმა სატო, რადგანაც მისი დღევანდელი საკვალიფიკაციო ადგილი ათი სასტარტო პოზიციით გაუარესდება. ეს იაპონელის გადადებული სასჯელია. ორი კვირის წინ აშშ-ში რბოლის დროს ტაკუმამ ტრასაზე ამკრძალავი ყვითელი დროშების ფრიალისას ერთ-ერთ მეტოქეს გაასწრო და ვიდრე სტიუარდები ამ ინციდენტს იხილავდნენ, თავად გამოეთიშა ბრძოლას, თუმც ამით დასჯას ვერ გადაურჩა.

ერთიც, რბოლის შემდეგ წლეულს პირველად რამდენიმე პილოტს დოპინგ-ტესტზე შეამოწმებენ. გამოსაცდელ მძღოლებს კომპიუტერი შეარჩევს.

გუშინ ორივე თავისუფალ ვარჯიშზე საუკეთესო დრო ფერარელებს — კიმი რაიკონენსა და ფელიპე მასას ჰქონდათ. ალონსო პირველ გასვლაზე მესამე იყო, ხოლო ორი საათის შემდეგ მეორე ცდაზე — მერვე, ჰემილტონმა შესაბამისად მეექვსე და მეოთხე შედეგი აჩვენა.

**გია ახალაძე**

## უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 $

# ანას ცრემლიანი მარცხი

29 ივლისი

**კაცები**

**მესამე წრე**

**ტომი ჰაასი** (13, გერმანია) — დმიტრი ტურსუნოვი (21, რუსეთი) 1:6 6:4 7:6 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ფერნანდო გონსალესი (5, ჩილე) 6:3 3:6 6:3 4:6 8:6; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (15, ხორვატია) 4:6 7:5 6:2 6:3; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მარატ საფინი (26, რუსეთი) 6:1 6:4 7:6; **ხუან კარლოს ფერერო** (20, ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) 3:6 6:3 6:3 7:6; **ენდი როდიკი** (3. აშშ) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:3 6:4 7:6; **რიშარ გასკე** (12, საფრანგეთი) — ედუარდო როჯე-ვასელინი (საფრანგეთი) 6:3 6:4 6:2; **ჟო-უილფრიდ ცონგა** (საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3 7:6 6:3

**ქალები**

**მესამე წრე**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:1 6:3; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — ალიონა ბონდარენკო (24, უკრაინა) 6:4 3:6 8:6; **სერენა უილიამსი** (7, აშშ) — მილაგროს სექუერა (ვენესუელა) 6:1 6:0; **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — ლუსი შაფაროვა (25, ჩეხეთი) 5:7 7:6 6:2; **მიკაელა კრაიჩეკი** (31, ჰოლანდია) — ანა ჩაკვეტაძე (8, რუსეთი) 7:6 6:7 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (10, სლოვაკეთი) — კატარინა სრებოტნიკი (19, სლოვენია) 2:6 6:3 6:4; **მარიონ ბარტოლი** (18, საფრანგეთი) — შაჰარ პირი (16, ისრაელი) 6:3 6:2; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — მარტინა ჰინგისი (9, შვეიცარია) 6:4 6:2


იანკო ტიპსარევიჩი

ფერნანდო გონსალესი, ჯეიმს ბლეიკი და ივან ლიუბიჩიჩი — სწორედ ამ ბატონების მარცხმა დაარღვია აქამდე მოულოდნელობების გარეშე მიმდინარე უიმბლდონის ერთფეროვნება. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ვერც ერთი მათგანი გაიმართლებს თავს, ამ საფარის სპეციალისტთან წავაგეო.

გონსალესით დავიწყოთ, რომელიც მიმდინარე უიმბლდონის ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი დანაკარგია. მეხუთე ნომრად განთესილმა ჩილელმა იანკო ტიპსარევიჩთან წააგო. კი ბატონო, სამხრეთ ამერიკელი ბალახის განსაკუთრებული მოყვარული არასოდეს ყოფილა, მაგრამ ამით ვერც სერბი დაიკვეხნის. ასეა თუ ისე, ბალკანელმა მაინც შინის გზას გაუყენა ჩილელი, რასაც უპირველესად თავის ბრძოლისუნარიანობას უნდა უმადლოდეს — ტიპსარევიჩი საჭირო მომენტში არ შედრკა. იანკომ მეხუთე სეტის მიწურულს ივაცკაცა, როცა გონსალესს 5:4 მიჰყავდა და აწოდებდა. სწორედ აქ იჩაუქა იანკომ და ჯერ ანგარიში გაათანაბრა, ოდნავ მოგვიანებით კი კიდევ ერთხელ დააბრეიკა მეტოქე და მეოთხე წრის საგზურიც გამოიწერა.

კიდევ უფრო მოულოდნელი იყო ბლეიკის წაგება — ამერიკელმა ხუან-კარლოს ფერეროსთან დაყარა ფარ-ხმალი, იმ ფერეროსთან, რომელსაც უკანასკნელი სამი წელიწადია, საყვარელ თიხნარზეც კი ხეირიანი არაფერი უქნია და ბალახზე ასე თუ გამოიდებდა თავს, ძნელი წარმოსადგენი იყო. თანაც, პირინეელმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა აშკარა ფავორიტად მიჩნეული ბლეიკი და კარიერაში მესამედ უწია უიმბლდონის მეოთხე წრეს.

ლიუბიჩიჩის ცოდვა კი პოლ-ანრი მატიომ დაიდო. საკმაოდ ძლიერი მოწოდების მქონე და ბადესთან თამაშის მოყვარული ხორვატი აგერ უკვე მერამდენედ ვერ ახერხებს ლონდონში წარმატებულ გამოსვლას და ახლა კი საკმაოდ საშუალო დონის ფრანგი ექცა გადაულახავ ბარიერად.

რამდენიმე განთესილი ქალთა ბადიდანაც გავარდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ათი წლის წინ აქ გაჩემპიონებული მარტინა ჰინგისის მარცხია — ელეგანტური შვეიცარიელი მესამე წრემდეც რის ვაივაგლახით მიჯახირდა, მაგრამ იქ უკვე ვერას გახდა ლაურა გრენვილთან.

წააგო ანა ჩაკვეტაძემაც, თუმც მისი და მიქაელა კრაიჩეკის ჯახის ყურება ერთ რამედ ღირდა. ამ თითქმის სამსაათიან მატჩში ძალიან თანაბარი ბრძოლა იყო და შეიძლება ითქვას, რომ ქართული ფესვების მქონე მეჩოგნეს მაგრად არ გაუმართლა — პირველი სეტის ტაიბრეიკზე მსაჯმა საკმაოდ საეჭვო ვითარებაში ქულა კრაიჩეკს მისცა და ჰოლანდიელმაც ასე მოიგო პარტია. თან შეხვედრა მეცამეტე კორტზე მიმდინარეობდა, სადაც ანამ ვიდეო გამეორებაც ვერ მოითხოვა — ასეთი ტექნიკით მხოლოდ სამი კორტია აღჭურვილი. ამან ჩაკვეტაძე მაგრად გაამწარა და აკი სეტებს შორის შესვენებისას იტირა კიდეც, მაგრამ ამით საქმეს აბა რას უშველიდა. მართალია, ანამ შემდეგ ანგარიში გააყაიმა, მაგრამ ფიზიკურად ველარ გაძლო და გადამწყვეტ პარტიაში ბლომად შეცდომები დაუშვა.

სამაგიეროდ მეოთხე წრეში არიან სხვა ფავორიტები — ჟუსტინ ენინი, სერენა უილიამსი და ელენა იანკოვიჩი. ამათგან პირველ ორს გასამარჯვებლად ხეირიანად ოფლის მოდენაც არ დასჭირვებიათ, მაშინ როცა 22 წლის სერბი ძალიან ახლოს იყო მარცხთან. ლუსი შაფაროვას თავისუფლად შეეძლო იანკოვიჩის წაქცევა, მაგრამ ელენამ დროულად იყოჩაღა და სეზონში ჯერჯერობით სარეკორდო 54-ე გამარჯვება ჩაიწერა აქტივში.

**ბახა ლომჯაშვილი**


ანა ჩაკვეტაძე

# მაკა და გიანა

**იტალიის** ქალაქ პადოვას თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 25-ათასიან ტურნირზე მეორე წრის შეხვედრები გაიმართა და საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა ქალმა მაკა ჩახნაშვილმა პირველ წრეში ჩეხ მიქაელა პასტიკოვასთან 3:6 6:4 7:6 გამარჯვების შემდეგ 21 წლისა და რეიტინგში 196-ე ადგილზე მყოფ ბელარუს დარია კუსტოვისაც სამ სეტში — 4:6 6:1 7:5 მოუგო.

მეოთხედფინალში მაკას მეტოქე 23 წლისა და რეიტინგში 439-ე ადგილზე მყოფი ხორვატი გიანა დოზი იქნება.

სამწუხაროდ, ჩახნაშვილისგან განსხვავებით, პირველი წრეში დაასრულა თამაში სალომე დევიძემ. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომას შტატის ქალაქ ედმონდის 10-ათასიანი შეჯიბრიდან წლეულს წარუმატებლად მოთამაშე სალომე ტურნირზე „უაილდ ქარდით“ მიწვეულმა მასპინძელმა ნატალი ფრეზერმა დაითხოვა — 7:5 6:3.



# ევროხალიჩა კლასიკურად [illegible]



**ბელგრადში** მიმდინარე ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი დღე დარჩა. თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა 26-27 ივნისს გამოავლინეს რვავე წონის ჩემპიონ-პრიზიორები. გუშინწინ და გუშინ ქალებმა იჭიდავეს, დღეს-ხვალ კი ხალიჩა ბერძენ-რომაელებისაა და მათ შორის რვა ჩვენებურისაც.

ვლადიმერ ადეიშვილის შეგირდებიდან პირველები ზურაბ მაჭარაშვილი (50კგ), ლაშა ლოლაშვილი (60კგ), გიორგი ჭუმბაშვილი (74კგ) და იოსებ ჯაბიძე გავლენ საჭიდაოდ. ამ ოთხ წონაში მედლები დღეს საღამოს გათამაშდება. ხვალ კი 55, 66, 84 და 120 კილოგრამიანთა დღე იქნება. საქართველოს ღირსებას ლაშა გოგიტაძე, გურამ კვერღელაძე, სერგო ნინუა და დიმიტრი ჯავახიშვილი დაიცავენ.

ცნობისთვის, შარშანდელ ევროპირველობაზე ქართველმა ბერძენ-რომაელებმა თითო ვერცხლი და ბრინჯაო მოიპოვეს. მაშინ მეორე ადგილზე გოგიტაძე გავიდა, ოღონდ ახლანდელზე ერთი წონით დაბლა — 50 კილოგრამში. ბოლოს შევახსენებთ, რომ თავისუფალი სტილის ნაკრებმა ბელგრადული ხალიჩიდან ორი ბრინჯაო გამოიტანა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## სამი ერი 2007

# ავსტრალიას აუ რა სტუმარი ჰყავს?!

30 ივნისი. მელბურნი

**ავსტრალია — ახალი ზელანდია**

**ავსტრალია:** ჰუქსლი, ეშლი-კუპერი, მორტლოკი (კაპ), ჟიტუ, ტუკირი; ლარქემი, გრეგანი; პალუ, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დანინგი
**სათადარიგოები:** ფრეიერი, ბაქსტერი, ჩიშოლმი, ჰოილისი, ვუ, სტანფორტი, ჯერარდი
**მწვრთნელი:** ჯონ კონოლი
**ახალი ზელანდია:** მულიაინა, გირი, მაკალისტერი, მაუგერი, როკოკოკო, კარტერი, კელეჰერი; სოოიალო, მაკქოუ (კაპ), კოლინზი, ფლაველი, ჯეკი, ჰეიმანი, ოლივერი, ვუდკოკი
**სათადარიგოები:** მეალამუ, ტიალატა, ფილიპო, მასო, ვეეპუ, ტუეავა, ევანსი
**მწვრთნელი:** გრემ ჰენრი

სამი ერის პირველობაზე ორი სუპერჯახის შემდეგ მესამეს სანახავად ემზადება ავსტრალიის სიდიდით მეორე ქალაქი მელბურნი. ახალი ზელანდია ავსტრალიას სტუმრობს და მასპინძლის საკუთარ კედლებში განადგურებას შეეცდება. ბოლო ხუთი წელია, რაც მაორები ვოლაბებთან“ „ბლედისლოუსს“ თასს აგებენ, რომელიც ქართულ-რუმინული „ანთიმოზ ივერიელის“ თასის შესატყვისია და მხოლოდ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას შორის თამაშდება.

რაგბიში უმოტივაციობა რა მოსატანია, მაგრამ მაორებისთვის თასის ფაქტორი იქნებ პატარა სტიმულადაც კი გამოდგეს. წინა შეხვედრა ავსტრალიამ სამხრეთ აფრიკასთან ბოლო წუთებზე დათმო, რის გამოც მასმედიამ ისინი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. სიტუაცია იმანაც გაართულა, რომ „ვოლაბების“ ყოფილმა ვარსკვლავებმა თანამედროვეები აუგად მოიხსენიეს და განაცხადეს, მაღალი დონის რაგბისთვის შეუფერებელ სპორტულ ფორმაში არიანო.

მიუხედავად ყველაფრისა, ავსტრალიელების პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება და ყველა ადგილობრივი მიმომხილველი ფიქრობს, რომ „ვოლაბებს“ ძალუძთ კონკრეტული თამაშისთვის მომზადება და გუნდის საუკეთესო თვისებების წარმოჩენა. მაგალითად, მეორე ხაზი (N 4, 5), ნახევარდაცვა (9, 10) და შუამარბები (12, 13) ნამდვილად არ დაიწუნებიან. დანარჩენ რგოლებში კი „მაორები“ მარწუხებს მოუჭერენ და ავსტრალიელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდებათ შედეგის მისაღწევად.

ახალზელანდიელთა ძალა კი მათ დაბალანსებულ შემადგენლობაშია. „შვების“ დამრიგებელ გრემ ჰერნის ალბათ არასოდეს შეექმნება ფორსმაჟორული სიტუაცია, მისი სათადარიგოები ხომ ძირითადებზე არანაკლებ კარგად თამაშობენ, რაც სამხრეთ აფრიკასთან ჯახმაც დაადასტურა. „ოლ ბლექსის“ გარემარბები ტყვიაზე სწრაფები არიან და მარტოებს შეუძლიათ თამაშის ბედის გადაწყვეტა. მილს მულიაინა, ჯო როკოკოკო და თანამედროვე რაგბის უდავოდ ერთი-ერთი საუკეთესო ვარსკვლავი ლუკ მაკალისტერი მაორთა შეტევების სულის ჩამდგმელები იქნებიან. ზოგადად ახალზელანდიელთა შემადგენლობა ვარსკლავურია და დაუმარცხებლების შთაბეჭდილებას კი ტოვებს, მაგრამ რეალურად „ვოლაბთა“ გუნდი უფრო კარგია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მათი გამოცდილება, ფიზიკური გამძლეობა და საკუთარი მოედნის ფაქტორი სენსაციური შედეგის დაფიქსირების რეალურ წინაპირობას იძლევა.

**ზურაბ მიგრიაული**



# ძველი ლეგენდის რეალური სურათები



ლევან მოსეშვილი, ლევან ინწკირველი, გურამ მინაშვილი, ამირან სხიერელი და ილარიონ ხაზარაძე




ვლადიმერ უგრეხელიძე

**გუშინ** კაფე „მსოფლიო სპორტში" ქართული კალათბურთის ძველმა ვარსკვლავებმა მოიყარეს თავი, იმათ, რომლებმაც 45 წლის წინათ, 29 ივნისს ჟენევაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალი" დაამარცხეს.

იმ ტრიუმფალურ გამარჯვებას „მსოფლიოს სპორტში" იხსენებდნენ: გურამ მინაშვილი, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ილარიონ ხაზარაძე, ლევან მოსეშვილი და ამირან სხიერელი. ავადმყოფობის გამო შეხვედრას ვერ დაესწრო ვალერი ალთაბაევი. იმ მატჩის სხვა გმირები — ალექსანდრე კილაძე, რევაზ გოგელია, ანზორ ლეჟავა და მათი მწვრთნელი ოთარ ქორქია ამ დღეს ველარ მოესწრნენ. მაშინ თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ჰყავდათ მოსკოველი ალექსანდრ პეტროვიც. იგი მოსკოვის „დინამოს" და საბჭოთა ნაკრების გამორჩეული ცენტრი იყო. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში, დებულებით, გუნდის გაძლიერება ორი მოთამაშით შეიძლებოდა, მაგრამ თბილისის დინამოელები ამ ერთ პეტროვს დასჯერდნენ. მართალია, სულ რაღაც შვიდნახევარი წუთი ითამაშა, მაგრამ გუნდს დაეხმარა, როცა ცნობილ ანზორ ლეჟავას ლეჟავას ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

იმ ლამაზი გამარჯვების პერიპეტიებზე აქ აღარ ვისაუბრებთ, რადგან გუშინდელ „სარბიელში" ჟენევურ სიხარულს ჩვენი კოლეგის, გოგი ფრანგიშვილის მიერ შემოთავაზებული ვრცელი მასალა მივუძღვენით, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ითქვას — იმ გამარჯვებას, ეტყობა, იქ, ზემოთ არავინ ელოდა.

„ამაზე ბევრი რამ მეტყველებს. თუნდაც ის, რომ ფინალში სათამაშოდ თორმეტის ნაცვლად თერთმეტნი წავედით, თანაც ერთი უფროსი მწვრთნელის ამარა. ჩვენთვის არც გულშემატკივრები გამოუყოლებიათ, არც ჟურნალისტები, ფოტორეპორტიორი ან კინოოპერატორი. ამიტომ, იმ დიდებული ფინალის ამსახველი ფოტოც არ მოგვეპოვებდა. ახლა ისიც კი მიკვირს, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის ექიმი ზაქრო თელია რომ გამოგვაყოლეს"...

ეს ამ ხუთიოდე წლის წინათ გურამ მინაშვილმა გვიამბო, ახლა კი მწერალ დავით ტურაშვილის მონდომების წყალობით რამდენიმე ჟენევური ფოტო მოგვეპოვება, რაც ასევე გუშინდელ „სარბიელში" შემოგთავაზეთ.

არსებობს კიდევ ერთი ფოტო, ოღონდ თბილისის აეროპორტში გადაღებული, რომელზეც ჟენევიდან ჩამოსული ტრიუმფატორები არიან აღბეჭდილნი.

მაშინ აეროპორტში ჩვენს კალათბურთელებს უამრავი ხალხი დახვდა. ჩემპიონები ღია მანქანებში გადაანაწილეს და ქალაქის ცენტრამდე ცოცხალ გვირაბში გამოატარეს. ქუჩები ხალხით გაივსო. სახეზე ყველას ისეთი დიდი სიხარული და ბედნიერება აღბეჭდოდა, რომლის მსგავსი მანამდე არავის ახსოვდა.

ეს ყოველივე და სხვაც ბევრი გუშინ კიდევ ერთხელ გაიხსენეს...

და ალბათ ეს ღირსახსოვარი დღე არავის გაახსენდებოდა, რომ არა „მსოფლიო სპორტის" ერთ-ერთი მფლობელი, ყოფილი კალათბურთელი მიხეილ ახვლედიანი, რომელმაც ჟენევური ტრიუმფის იუბილეს და მისი ამსახველი ფოტოების პრეზენტაციას გუშინდელი საღამო მიუძღვნა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტორეპორტაჟი**



სალამოს ორგანიზატორი მიხეილ ახვლედიანი და მაშინდელი „დინამოს" მთავარი მწვრთნელის ოთარ ქორქიას ვაჟი ნოდარ ქორქია



45 წლის წინანდელი ფოტოები ვეტერანებმა ახლად ნახეს




დათო ტურაშვილი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge